პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 35 (5435) | კვირა, 12 თებერვალი 1939 წ. | ფასი 10 კაპ.

მესამე ხუთწლიანი გეგმის დიად ამოცანათა განხორციელება იმდენად მჭიდროდ არის დაკავშირებული მუშების, გლეხებისა და საბჭოთა ინტელიგენციის სასიცოცხლო ინტერესებთან, რომ მისი განხორციელების უზრუნველყოფა დამოკიდებულია, უწინარეს ყოვლისა, ჩვენზე — კომუნისტებსა და უპარტიო ბოლშევიკებზე — ხელმძღვანელებზე და განსაკუთრებით კი იმაზე, თუ რამდენად შეგვწევს უნარი მოვაწესრიგოთ შრომა და გავაძლიეროთ მშრომელთა კომუნისტური აღზრდა.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე ამხ. ვ. მოლოტოვის მოხსენების თეზისებიდან

მტს-ებმა სანიმუშოდ უნდა იმუშაონ

ყოველწლიურად იზრდება საბჭოთა საქართველოში სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დონე. ამჟამად საქართველოშია 51 მტს-ი. სოციალისტური სოფლის მეურნეობა აღჭურვილია პირველხარისხოვანი იარაღ-მანქანებით. მტს-ების წინაშე დიდი ამოცანები დგას სატრაქტორო პარკის უკეთ გამოყენებისა და მაღალი მოსავლისათვის ბრძოლაში. ამას ისიც ადასტურებს, რომ საქართველოში წელს სატრაქტორო სამუშაოთა მოცულობა დაგეგმილია 839.000 ჰექტარი მსუბუქ ხვნაზე გადაყვანით.

პარტია და მთავრობა ყოველგვარ პირობებს უქმნიან მტს-ებს სანიმუშო მუშაობისათვის. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი „მარცვლეული კულტურების ხაზით მტს-ების მიერ შესრულებულ სამუშაოთა ნატურანაზღაურების დარიცხვის წესის შესახებ" და „მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის შესახებ", აგრეთვე ტიპიური ხელშეკრულება მტს-ისა კოლმეურნეობასთან, დამტკიცებული სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ, წარმოადგენენ დიდი პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობის დოკუმენტებს. ეს დადგენილებანი მიმართულია იქითკენ, რომ კიდევ უფრო გაძლიერდეს მტს-ების მაორგანიზებელი როლი სასოფლო - სამეურნეო წარმოებაში.

უდიდესი ყურადღება ექცევა მტს-ების მიერ შესრულებულ სამუშაოთა ნატურანაზღაურების დარიცხვის წესს. შეცვლილია ნატურანაზღაურების დარიცხვის წესი მტს-ების მუშაობისათვის მარცვლეული კულტურების ხაზით. გაუქმებულია რაიონული კომისიები, რომელთაც ეკისრებოდათ კოლმეურნეობათა მიკუთვნება მოსავლიანობის ჯგუფებისადმი მტს-ების მიერ შესრულებულ სამუშაოთა ნატურანაზღაურების დასარიცხავად. წინათ ბევრი შემთხვევა იყო, როცა მოსავლიანობის გამომრკვევი ზოგიერთი კომისიის მუშაობაში თავს იჩენდა ანტისახელმწიფოებრივი ტენდენცია — კოლმეურნეობებში მოსავლიანობას შემცირებულად უჩვენებდნენ. ერთსა და იმავე რაიონში კოლმეურნეობანი მოსავლიანობის მხრივ მიკუთვნებული იყვნენ 4-5-6-7 ჯგუფებზე. ამიერიდან ერთი რაიონის კოლმეურნეობანი მარცვლეული კულტურების ხაზით მტს-ების მიერ შესრულებულ სამუშაოთა ნატურანაზღაურების დასარიცხავად მიეკუთვნებიან მოსავლიანობის ერთერთ ჯგუფს. გამონაკლისის სახით ერთი რაიონის ცალკეულ კოლმეურნეობათა მიკუთვნება მოსავლიანობის სხვა ჯგუფებისადმი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ რაიონში მოსავალი არათანაბარი იქნება. ამ ღონისძიების მტკიცედ გატარება ძირფესვიანად აღმოფხვრის ფაქტიური მოსავლის შემცირებულად განსაზღვრის ცდას.

ორდენოსანი საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის მუშაკები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას ტრაქტორისტების ფულით უზრუნველყოფის ახალი წესის შესახებ. „მიღებულ იქნას,—ნათქვამია ხსენებულ დადგენილებაში,—1939 წლის 1 იანვრიდან სახელმწიფოს ხარჯზე საგარანტიო ფულადი მინიმუმის (2 მან. 50 კაპ. შრომადღეზე) ანაზღაურება ტრაქტორისტებისა, ტრაქტორისტთა ბრიგადირებისა და მათი თანაშემწეებისათვის, ამასთან კოლმეურნეობას ისევ ეკისრება ვალდებულება — გადაუხადოს ამ მუშაკებს საგარანტიო ფულადი ანაზღაურებისა და შრომადღის ფულადი ნაწილის ფაქტიური ღირებულების განსხვავება იმ შემთხვევაში, როცა ეს ღირებულება საგარანტიო მინიმუმს აღემატება, აგრეთვე გადაუხადოს მათ შრომადღის ნატურალური ნაწილი".

ამ დადგენილებამდე, როგორც ცნობილია, ტრაქტორისტებს ფული ეძლეოდათ კოლმეურნეობათა ანგარიშებიდან. მთელ რიგ მტს-ებში ადგილი ჰქონდა ტრაქტორისტების დენადობას. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ მტს-ები ტრაქტორისტებს ანგარიშების გასწორებას უჭიანურებდნენ. მაგალითად, 1939 წლის 1 იანვრისათვის ყვარლის მტს-ის დავალიანება ტრაქტორისტებისადმი 74.600 მანეთს აღწევდა. ალაზნის მტს-ისა 59.000 მანეთს, ლაგოდეხისა—54.000, გურჯაანისა—47.800 მანეთს.

ახლა ტრაქტორისტები სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი არიან აუცილებელი ფულადი მინიმუმით. ეს კიდევ უფრო განამტკიცებს შრომის დისციპლინას, კიდევ უფრო გაზრდის ტრაქტორისტების პასუხისმგებლობას მანქანების მოვლისათვის და ხელს შეუწყობს სტახანოვური მოძრაობის შემდგომ აღმავლობას ტრაქტორისტებს შორის. ამ ღონისძიებით სახელმწიფომ უდიდესი დახმარება გაუწია აგრეთვე კოლმეურნეობებსაც, მიიღო რა თავის თავზე ტრაქტორისტებისათვის დიდძალი თანხის გაღება.

პარტიისა და მთავრობის დადგენილებით დიდი ცვლილებებია შეტანილი მტს-ების დაფინანსების სისტემაში. შარშან თებერვლიდან მტს-ების სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებაზე გადაყვანამ მტს-ების ფინანსიური მეურნეობა მოაწესრიგა და მას ურყევი საფინანსო ბაზა შეუქმნა. მაგრამ ამავე დროს მტს-ების დაფინანსება ხდებოდა წლიური და ნახევარწლიური ხარჯთაღრიცხვების მიხედვით, მიუხედავად იმისა, შესრულებული ჰქონდათ თუ არა მათ საწარმოო გეგმები. ახალი დადგენილებით მიმდინარე წლის 1 იანვრიდან დაწესებულია მტს-ების კვარტალობრივი დაფინანსება, წლიური საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულების შესაბამისად. დაფინანსების ახალ სისტემას საფუძვლად უდევს არა მარტო საწარმოო გეგმის შესრულება, არამედ მინდვრის სამუშაოთა ხარისხი. პარტია და მთავრობა მოითხოვენ მტს-ებისაგან გადაჭრით აამაღლონ მინდვრის სამუშაოთა ხარისხი, რათა უზრუნველჰყონ მყარი და უხვი მოსავლის მიღება.

ტიპიური ხელშეკრულება მტს-ისა კოლმეურნეობასთან ითვალისწინებს ორივე მხარის პასუხისმგებლობის გაძლიერებას. იგი განსაზღვრავს კონკრეტულ ვალდებულებებს, როგორც მტს-ის, ისე კოლმეურნეობის მხრით.

ტიპიურ ხელშეკრულებაში უდიდესი ყურადღება აქვს დათმობილი მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლის საკითხებს, როგორიცაა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შემჭიდროებულ ვადებში და მაღალხარისხოვნად დამთავრება, ნაწვერალის აოშვა, მძრალად ხვნა, ანეული და სხვ. წინანდელი ხელშეკრულება ამ ამოცანებს ვერ უპასუხებდა. ამიერიდან თვითეული ხელშეკრულება რეგისტრირებულ უნდა იქნას რაიალმასკომში. ყოველივე ეს მოწმობს, რომ ტიპიური ხელშეკრულება წარმოადგენს არა დეკლარაციას, არამედ ისეთ ხელშეკრულებას, რომელსაც კანონის ძალა აქვს. მტს-ების წინაშე დგას ამოცანა სანიმუშოდ ჩაატარონ კოლმეურნეობებთან ხელშეკრულებათა დადება. ამ მიზნით ისინი ვალდებულები არიან ამთავითვე გაშალონ მოსამზადებელი მუშაობა ხელშეკრულებათა დასადებად და მოიმარაგონ ყველა საჭირო მასალა.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე ამხ. ვ. მოლოტოვის მოხსენების თეზისებში ნათქვამია: „დამთავრდეს მესამე ხუთწლედში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა **კომპლექსური მექანიზაცია.** ფართოდ დაინერგოს მოწინავე აგროტექნიკა და მეცნიერულად გამოყენებულ იქნას სოფლის მეურნეობის მოწინავეთა დიდი პრაქტიკული გამოცდილება".

სოფლის მეურნეობის მექანიზაციის შემდგომი გრანდიოზული ზრდა მტს-ების წინაშე აყენებს ამოცანას თვალისჩინივით გაუფრთხილდნენ იარაღ - მანქანებს, საკოლმეურნეო მინდვრებზე დანერგონ მაღალი აგროტექნიკა, დაზოგონ სახელმწიფო სახსრები, არ დაუშვან საწვავი მასალის გადახარჯვა და ურყევად შეასრულონ კოლმეურნეობებთან დადებული ხელშეკრულება.

საქართველოს მტს-ები, ცალკეული ტრაქტორისტები და სატრაქტორო ბრიგადათა ბრიგადირები, ჩაებნენ რა წინასაყრილობო შეჯიბრებაში, იღებენ კონკრეტულ ვალდებულებებს, რათა ლენინ-სტალინის პარტიის XVIII ყრილობას შეხვდნენ მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით. ეჭვი არ არის, ისინი სიტყვას საქმედ აქცევენ. საქართველოს მტს-ები სანიმუშოდ უნდა მუშაობდნენ. სამისოდ მათ ყველა პირობა მოეპოვებათ.

„ჩელუსკინის" ეპოპეის 5 წელი

ლენინგრადი (საქ. კორ.) „ჩელუსკინის" დაღუპვის 5 წლისთავისათვის ლენინგრადში ეწყობა სპეციალური საღამოები. ლენინგრადის ცენტრალურ ლექტორიუმში მოხდება „ჩელუსკინის" ექსპედიციის მონაწილეთა შეხვედრა ლენინგრადის მშრომელებთან. მოგონებებით გამოვლენ საბჭოთა კავშირის გმირები: ვოდოპიანოვი, კამანინი, ლიაპიდევსკი და სხვები.

ლენინგრადის არქტიკულმა მუზეუმმა მოაწყო „ჩელუსკინის" ეპოპეის პანორამა. პანორამას დიდძალი ხალხი ნახულობს.

ოთ. ეზაძე.

1939 წლის 15 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, მასწავლებლის სახლში (ფურცელაძის ქ. № 3) საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი იწვევს უმაღლესი სკოლების ხელმძღვანელ მუშაკთა და მასწავლებელთა რესპუბლიკურ თათბირს შემდეგი დღის წესრიგით:

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ" საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილების უმაღლეს სასწავლებლებში შესრულების ღონისძიებათა შესახებ".

თათბირზე გამოწვეული არიან: უმაღლესი სასწავლებლების დირექტორები, დირექტორის მოადგილეები მეცნიერული მუშაობის ხაზით, სასწავლო ნაწილის გამგეები, სოციალურ - ეკონომიურ დისციპლინათა ლექტორები და კათედრების გამგეები, პარტკომებისა და კომკავშირული კომიტეტების მდივნები.

მუშურ-გლეხური წითელი არმიის მ. ვ. ფრუნზეს სახელობის წითელდროშოვანი და ლენინის ორდენოსანი სამხედრო აკადემიის მსმენელები, პროფესორები და მასწავლებლები—

ამხანაგ სტალინს

ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

დღეს ჩვენთან ღირსშესანიშნავი დღეა, დიდი დღესასწაულია.

20 წელი შესრულდა მსოფლიოში პირველი მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო აკადემიის დაარსების დღიდან. შესრულდა ორგზის ორდენოსანი სამხედრო აკადემიის სახელოვანი მოღვაწეობის 20 წლისთავი, აკადემიისა, რომელიც შესანიშნავი ბოლშევიკის მ. ვ. ფრუნზეს სახელს ატარებს.

ჩვენთვის ამ სასიხარულო დღეს, ამხანაგო სტალინ, პირველი ჩვენი აზრი, ჩვენი პირველი სიტყვა, ჩვენი მგზნებარე ბოლშევიკური სალამი მომართულია თქვენდამი — პროლეტარული რევოლუციის გენიალური სტრატეგისადმი, მუშურ-გლეხური წითელი არმიის გამარჯვებათა ორგანიზატორისადმი, პოლიტიკური ზრდისა და ტექნიკური შეიარაღების საქმეში მის მიღწევათა სულისჩამდგმელისადმი.

ჩვენი აკადემია შექმნილია ვ. ი. ლენინის ინიციატივით, ი. მ. სვერდლოვის მხურვალე მონაწილეობით. თქვენ, ამხანაგო სტალინ, და თქვენი უახლოესი თანამებრძოლნი მ. ვ. ფრუნზე და კ. ე. ვოროშილოვი ზრდიდით და ანმტკიცებდით მას. ამ მზრუნველობით, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყურადღებით გარემოცული აკადემია ამჟამად გადაქცეულია ბოლშევიკ - მეთაურთა კადრების მძლავრ ბაზად, სამხედრო-მეცნიერული აზროვნების ცოცხალ ნაყოფიერ ცენტრად.

ჩვენი აკადემია ყოველთვის ასრულებდა და შეასრულებს თვალსაჩინო როლს პროლეტარული რევოლუციის შეიარაღებულ ძალთა მშენებლობაში, მუშურ-გლეხური წითელი არმიის საბრძოლო ძლიერების განმტკიცების საქმეში.

ამ 20 წლის განმავლობაში აკადემიამ გამოზარდა წითელი არმიისათვის ხუთი ათასზე მეტი კვალიფიციური მეთაური-ბოლშევიკი.

აკადემიის ასობით ყოფილმა მსმენელმა გმირულად შესწირა თავისი სიცოცხლე სსრ კავშირის ხალხთა ბედნიერებას სამოქალაქო ომის ფრონტებზე.

ამჟამად წითელ არმიაში არ მოიპოვება ისეთი ერთეული, სადაც ხელმძღვანელ თანამდებობებზე დაწყებული პოლკებისა და დივიზიების მეთაურებით და გათავებული ოლქების სარდლებით და თავდაცვის სახალხო კომისარიატის ცენტრალური სამმართველოების ხელმძღვანელებით, არ მუშაობდნენ ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიის მიერ აღზრდილნი.

ამჟამად აკადემიაში სწავლობენ მუშურ-გლეხური წითელი არმიის ათასობით ახალი საუკეთესო მეთაურები, რომელთა შორისაც ცოტანი როდი არიან საბჭოთა კავშირის გმირები, ორდენოსნები, წითელი არმიის საუკეთესო ადამიანები.

საბჭოთა ხალხის საბრძოლო ძალთა მთელი ეს რჩეული ნაწილი ლენინ-სტალინის პარტიის უსაზღვროდ ერთგულია. სახელოვანი კომუნისტური დროშების ქვეშ, თქვენი უშუალო ხელმძღვანელობით, აკადემიის მრავალი მსმენელი მტრებთან საბრძოლო შეტაკებათა დღეებში იბრძოდა და ამარცხებდა თეთრგვარდიელების ურდოებს ცარიცინთან, მუსრავდა დენიკინელთა, კოლჩაკელთა და ვრანგელელთა არმიებს, ანადგურებდა გერმანელ ოკუპანტებსა და პოლონელ პანებს.

დღეს, მუშურ-გლეხური წითელი არმიის 21 წლისთავის წინ, იმ დღის წინ, როცა მთელი არმია ერთგულებას შეჰფიცავს თავის ხალხს, დღეს, როდესაც ფაშისტი აგრესორები კვლავ ამზადებენ თავდასხმას სოციალიზმის ქვეყანაზე, ჩვენ, ამხანაგო სტალინ, ფიცსა ვდებთ, რომ იმ მომენტში, როცა თქვენ და საბჭოთა კავშირის მარშალი ამხანაგი ვოროშილოვი გასცემთ ბრძანებას დავიძრათ თავხედი მტრის წინააღმდეგ, ჩვენ, როგორც სტალინის მიერ აღზრდილებს შეჰფერის, ცხადვყოფთ, რომ არ არის მსოფლიოში ისეთი ციხე-სიმაგრეები, რომელთა აღებაც არ შეეძლოთ ბოლშევიკებს.

ჩვენ ვიცით და კარგად გვახსოვს, რომ მტერი არაერთხელ შეეცდილა ეფათურებინა თავისი ჯაშუშურ-მავნებლური თათები აკადემიის მუშაობაში, რათა მოეხდინა მისი დეზორგანიზაცია. მაგრამ ბილწი ხროვის ზრახვები ჩაიფუშა. არამზადები სწრაფად იქნენ მხილებულნი და განადგურებულნი.

მუდამ გვახსოვს რა ეს გაკვეთილი, ჩვენ ვიბრძოლებთ იმ თვისების განსამტკიცებლად, რომელიც ყველაზე უფრო საჭიროა ბოლშევიკებისათვის — პოლიტიკური სიფხიზლის ამაღლებისა და ჩვენი მარქსისტულ-ლენინური შეიარაღების გაძლიერებისათვის, რომ შეგვეძლოს იმ ავაზაკთა ზრახვების თავის დროზე გამომჟღავნება, მხილება და ლიკვიდაცია, რომელთაც თავიანთი სული და ხორცი ხალხის დაუძინებელ მტრებს მიჰყიდეს.

ამ ხუთი წლის წინათ, ულოცავდით რა აკადემიას 15 წლისთავს და ლენინის ორდენით დაჯილდოებას, თქვენ, ამხანაგო სტალინ, სწერდით:

> „ვუსურვებ აკადემიას სრულ წარმატებას სამშობლოს დაცვისათვის იმ აუცილებლად საჭირო საქმეში, რომ მოამზადოს განათლებული მეთაური-ბოლშევიკები სამხედრო საქმის ოსტატები".

თქვენი ეს სიტყვები ჩვენ შევითვისეთ, როგორც დირექტივა და საფუძვლად დავუდევით აკადემიის მთელ მოღვაწეობას. ამჟამად ეს სიტყვები არა მარტო ინარჩუნებენ თავის აქტუალობას, არამედ მათ განსაკუთრებული სიმახვილეც ეძლევათ.

ამ ბრძოლას ბოლშევიკ მეთაურთა სამხედრო ოსტატობის ამაღლებისათვის მომავალშიაც მთელი ბოლშევიკური მგზნებარებით ვაწარმოებთ.

ამჟამად ჩვენი პარტია, რომელიც გარემოცულია ყველა საბჭოთა ხალხისა და მთელი წითელი არმიის უდიდესი სიყვარულით, მიემართება საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობისაკენ მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის გაშლილი დროშით. ვუერთებთ რა ჩვენს ხმას მთელი საბჭოთა ხალხის სიხარულით აღსავსე აზრებსა და გრძნობებს, ჩვენ ვამბობთ:

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ უძლეველ ლენინურ პარტიას!

გაუმარჯოს ჩვენს დიდ ბელადს, მასწავლებელსა და მეგობარს ამხანაგ სტალინს!

(მიღებულია 1939 წლის 7 თებერვალს მუშურ-გლეხური წითელი არმიის მ. ვ. ფრუნზეს სახელობის წითელდროშოვანი და ლენინის ორდენოსანი სამხედრო აკადემიის 20 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებაზე).

დამთავრდა საქ. ალკკ XIV ყრილობა

გუშინ დილით ფარული კენჭისყრით მოხდა საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

საღამოს სხდომაზე მოისმინეს ხმისდამთვლელი კომისიის თავმჯდომარის ამხ. ბუდუმიანის მოხსენება ფარული კენჭისყრის შედეგების შესახებ.

საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში არჩეულია 67 წევრი და 15 კანდიდატი, სარევიზიო კომისიაში—9 კაცი.

საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში ერთხმად არიან არჩეული სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ამხანაგი **ლ. ბერია** და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **კ. ჩარკვიანი.** არჩეული არიან აგრეთვე საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნები ამხ. **კ. შეროზია** და **მ. ჯაში,** საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. **ს. იშხანოვი,** ამხ. **ა. მირცხულავა, შ. ჭანუყვაძე, თ. ბირკაძე, გ. ცქიტიშვილი** (საქ. ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანი), **კ. გოგია** (საქ. ალკკ აფხაზეთის ოლქკომის მდივანი), **ვ. სანიკიძე** (საქ. ალკკ აჭაროლქკომის მდივანი), **ს. ბესტაევი** (საქ. ალკკ სამხრეთ - ოსეთის ოლქკომის მდივანი), **ცაცა ქარდავა** (ოჩამჩირის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველი, ორდენოსანი), **თიბილოვი** (პირველი ოსი მფრინავი-ქალი), **სამხარაძე** (ჭიათურის მაღაროების სტახანოველი, ორდენოსანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი) და სხვ. შემდეგ დამტკიცებულ იქნა ხმის დამთვლელი კომისიის ანგარიში.

ყრილობამ მიიღო რეზოლუცია საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო.

მხურვალე ოვაციებითა და ტაშის გრიალით მისალმების დეპეშები გაეგზავნა საბჭოთა ახალგაზრდობის საყვარელ მამას, მასწავლებელსა და უგულითადეს მეგობარს მშობლიურ **სტალინს** და ქართველი ხალხის ღირსეულ შვილს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სტალინურ სახკომს ამხანაგ **ლ. პ. ბერიას.**

მისალმებების მიღების შემდეგ საქ. ალკკ XIV ყრილობა დაიხურა.

ყრილობის ბოლო სხდომის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ ამხანაგები **კ. ჩარკვიანი, ვ. ბაქრაძე, კ. შეროზია, მ. ჯაში, ს. იშხანოვი, ა. თოფურიძე** და საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **ო. მიშაკოვა.**

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვს

ძვირფასო ვიაჩესლავ მიხეილის-ძევ!

მუშურ-გლეხური წითელი არმიის მ. ვ. ფრუნზეს სახელობის წითელდროშოვანი და ლენინის ორდენოსანი სამხედრო აკადემიის 20 წლისთავის საზეიმო დღეს, ჩვენ, პროფესორები, მასწავლებლები, მსმენელები, მეთაურები და პოლიტმუშაკები, გიძღვნით თქვენ, საბჭოთა მთავრობის მეთაურს, დიდი სტალინის თანამებრძოლს, ჩვენს მგზნებარე ბოლშევიკურ სალამს.

ამ 20 წლის განმავლობაში ჩვენი აკადემია, საკ. კ. პ. (ბ) ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის უშუალო ხელმძღვანელობით, სჭედავს ბოლშევიკ მეთაურთა კადრებს მუშურ-გლეხური წითელ არმიისათვის.

ამ 20 წლის განმავლობაში ჩვენ არაერთხელ გვიგრძვნია თქვენი პირადი დახმარება და მონაწილეობა აკადემიის საქმეებში. თქვენი, როგორც სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მეთაურის, ხელმძღვანელობით აკადემია თავისი არსებობის მეორე ათწლეულში გადაიქცა მუშურ-გლეხური წითელი არმიის მძლავრ და მოწინავე უმაღლეს სასწავლებლად, რომელსაც საუცხოო მატერიალური ბაზა, შესანიშნავ ადამიანთა კადრები და ყველა შესაძლებლობა მოეპოვება იმ ამოცანების წარჩინებულად გადაჭრისათვის, რომლებსაც უყენებენ მას ჩვენი სამშობლოს თავდაცვის საჭიროებანი.

23 თებერვალს აკადემია, მთელ მუშურ-გლეხურ წითელ არმიასთან ერთად, შეჰფიცავს საბჭოთა მთავრობასა და ხალხს ერთგულებას და მზადყოფნას მამაცურად მარჯვედ და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დაიცვას ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლო. ჩვენ მთელ ჩვენს ძალღონეს მოვახმართ იმას, რომ მომავალში კიდევ უფრო განუზომლად მაღლა ავსწიოთ აკადემიის მუშაობის ხარისხი. რომ მისი კედლებიდან გამოვუშვათ კიდევ უფრო უკეთ მომზადებული კადრები მეთაურ-ბოლშევიკებისა, რომლებიც უსაზღვროდ ერთგულნი იქნებიან ლენინ-სტალინის პარტიის საქმისა, საბჭოთა მთავრობისა და სამშობლოსი.

გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა სოციალისტურ სახელმწიფოს!

გაუმარჯოს ჩვენს დიდ ბელადს, მეგობარსა და მასწავლებელს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს!

გაუმარჯოს დიდი სტალინის უახლოეს თანამებრძოლს, საბჭოთა მთავრობის მეთაურს ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვს!

(მიღებულია 1939 წლის 7 თებერვალს მუშურ-გლეხური წითელი არმიის მ. ვ. ფრუნზეს სახელობის წითელდროშოვანი და ლენინის ორდენოსანი სამხედრო აკადემიის 20 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებაზე).

№ 22 ქარხნის მუშაკთა დაჯილდოება

წითელი საჰაერო ფლოტის სამხედრო ტექნიკით უზრუნველყოფის საქმეში შესანიშნავი წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 10 თებერვლის ბრძანებულებით დაჯილდოებულია № 22 ორდენოსანი ქარხნის 105 მუშაკი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულნი არიან: უფროსი ოსტატი ი. ს. ალექსეევი, მღარველი მ. მ. კაშაევი, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტორგი ა. ი. კუზნეცოვი, ზეინკალი ს. ი. ლებედევი, ქარხნის დირექტორი ვ. ა. ოკულოვი.

დაჯილდოებულნი არიან: „შრომის წითელი დროშის" ორდენით — 18 კაცი, „წითელი ვარსკვლავის" ორდენით—5 კაცი, „საპატიო ნიშნის" ორდენით—9 კაცი, მედლით „შრომითი მამაცობისათვის" 32 კაცი და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის"—36 კაცი. (საქდესი).

№ 95 ქარხნის მუშაკთა დაჯილდოება

თავდაცვითი მრეწველობის ათვისებისა და მისი ამ მასალებით უზრუნველყოფის საქმეში დამსახურებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 10 თებერვლის ბრძანებულებით დაჯილდოებულია № 95 ქარხნის 33 მუშაკი, რომელთაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი. ლენინის ორდენით დაჯილდოებულია ქარხნის დირექტორი ი. ს. ვიშტინეცკი და პარტკომის მდივანი ი. ვ. ოკუნევი.

„შრომის წითელი დროშის" ორდენით დაჯილდოებულია 6 კაცი, „წითელი ვარსკვლავის" ორდენით—6 კაცი, „საპატიო ნიშნის" ორდენით—8 კაცი, მედლით „შრომითი მამაცობისათვის"—6 კაცი, მედლით „შრომითი წარჩინებისათვის"—5 კაცი. (საქდესი).

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

მოსკოვი, 10 თებერვალი (საქდესი). სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებად გამოგზავნილია 27 ათასი სხვადასხვაგვარი ექსპონატი.

გამოფენის საცავებში შეგროვებულია საკოლმეურნეო მინდვრების სტახანოველთა მიერ გამოგზავნილი მრავალი საინტერესო ექსპონატი: ბამბის, სელის, თამბაქოს და ზეთოვანი კულტურების ნიმუშები, თუთისა და მუხის აბრეშუმის ჭიის პარკის კოლექციები.

გამოფენისათვის საქართველოდან მიღებულია საუცხოო ხალიჩები, ყაზახეთიდან მხატვრული კერამიკული ნაკეთობანი, ჩრდილოეთის ხალხთა მხატვრების მიერ შესრულებული ძვირფასი ჩუქურთმები.

მაისის დასაწყისისათვის გამოფენაზე გამოგზავნილ იქნება კიდევ 50 ათასი ექსპონატი.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის სათბურში სწარმოებს ციტრუსოვანი ნაყოფის — გრეიპფრუტის, თურინჯის, მანდარინისა და კინკანის კრეფა. ნაყოფი სათბურში კარგად დამწიფდა. ამჟამად აქ ჰყვავიან ლიმონის ხეები. სათბურში კარგად იზრდებიან სხვა სუბტროპიკული კულტურებიც: ქაფურის დაფნა, ახალზელანდიის სელი, ევკალიპტი და აგავი.

5 წელი ყინულმჭრელ „ჩელუსკინის" დაღუპვიდან: ზევით — ექსპედიციის უფროსი, საბჭოთა კავშირის გმირი ო. ი. შმიდტი, ყინულმჭრელ „ჩელუსკინის" კაპიტანი ვ. ი. ვორონინი. ქვევით: საბჭოთა კავშირის გმირები — მფრინავები ა. ლიაპიდევსკი, ს. ლევანევსკი, მ. სლეპნევი, ვ. მოლოკოვი, ნ. კამანინი, მ. ვოდოპიანოვი, ი. დორონინი, რომლებმაც გადაარჩინეს „ჩელუსკინის" გმირული ეკიპაჟი.

შევხვდეთ პარტიის XVIII ყრილობას ახალი საწარმოო გამარჯვებებით

ქარხნის ინტელიგენცია ენთუზიაზმით ჩაება წინასაყრილობო შეჯიბრებაში

თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის სტახანოველებმა პარტიის ყრილობის აღსანიშნავად ათობით საბრძოლო კონკრეტული ვალდებულებანი იკისრეს. სტახანოველმა ზეინკალმა ამხ. პ. მუხიგულაშვილმა ვალდებულება იკისრა შეასრულოს დღეში სულ ცოტა ორი ნორმა. ამ ვალდებულებას იგი წარმატებით ასრულებს. 7 თებერვალს ამხ. მუხიგულაშვილმა ნორმა შეასრულა 260 პროცენტით, ხოლო 8 თებერვალს—360 პროცენტით. ზეინკლები ამხ. ბ. ნევრეევი, ვ. ციცილინი, დ. ბედიანაშვილი, ნაყაშები, მ. რუბლიოვა და დ. მელენინა 2-4 ნორმას ასრულებენ სისტემატურად. ზეინკალმა ამხ. ვ. იაკუშევმა 7 თებერვალს 590 პროცენტით შეასრულა გეგმა.

სადემონტაჟო საამქროს უფროსმა ამხ. ფედოსეევმა საამქროს კოლექტივის სახელით იკისრა ვალდებულება—10 მარტისათვის დაშალოს გეგმის გადამეტებით 50 ავტომანქანა და 100 მოტორი. საბრძოლო ვალდებულებანი იკისრეს ძარის, მექანიკური და სხვა საამქროების კოლექტივებმა.

ქარხნის ინტელიგენცია უდიდესი ენტუზიაზმით ჩაება წინასაყრილობო შეჯიბრებაში. ქარხნის ტექნიკური განყოფილების ინჟინრებმა და ტექნიკოსებმა ვალდებულება იკისრეს —ყრილობის გახსნის დღისათვის დაამთავრონ წარმოების ცალკეულ პროცესთა მექანიზაციის ხუთი პროექტის შედგენა. განყოფილების მუშაკები უკვე ამთავრებენ ამწების მექანიზაციისა და „ზის“ მარკის ავტომანქანის ძრავთა სარქველების ერთდროული მისალესი ჩარხის მექანიზაციის პროექტის შედგენას. ამჟამად სადემონტაჟო საამქროში ტექნიკური განყოფილების პროექტით კეთდება სარეცხი მანქანა, რომლითაც გარეცხენ დეტალებს დაშლის ხაზზე. მანქანა ამუშავდება 10 მარტისათვის.

ქარხნის კოლექტივმა წინასაყრილობო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ხარკოვის ავტოსარემონტო ქარხნის კოლექტივი. შეჯიბრების ძირითად ვალდებულებას წარმოადგენს კვარტალური გეგმის ვადაზე ადრე—პარტიის მე-18 ყრილობის გახსნის დღისათვის შესრულება. (საქდესი).

აფხაზეთის წარმოება-დაწესებულებებში

(სოხუმი, ტელეგრაფით საქ. კორესპონდენტისაგან)

გაიშალა ყრილობისწინა შეჯიბრება. ტყვარჩელის მაღაროში მოეწყო მეთვრამეტე ყრილობის სახელობის სტახანოვური ბრიგადა, რომელსაც ქვანახშირის გამოჩენილი ოსტატი მამონტოვი ხელმძღვანელობს. ბრიგადა ჩაება ყრილობისწინა შეჯიბრებაში ბესარაბის ბრიგადასთან და დაივალა ას ოცდაშვიდი ტონის ნაცვლად ცვლაში გამოიღოს ორასი ტონა ნახშირი, ბრიგადის თვითეული წევრის შრომის ნაყოფიერება ცხრა ტონიდან გაზარდოს ოცდაორ ტონამდე, ნაცვლად ცხრამეტი ციკლისა თებერვალში მისცეს ოცდა ხუთი ციკლი, თვითღირებულება შეამციროს ხუთი, ხოლო ნაცრიანობა ათი პროცენტით.

სოხუმის თევზის ქარხნის მუშებმა დაივალეს გამარჯვებით შეხვდნენ მეთვრამეტე ყრილობას და შეჯიბრებაში გამოიწვიეს ბაქოს თევზის ქარხნის მუშები. აფხაზვაჭრობის მუშაკებმა ასევე გააჩაღეს შეჯიბრება აჭარვაჭრობის მუშაკებთან, ხოლო სოხუმის კავშირგაბმულობის მუშაკებმა ბათუმის კავშირგაბმულობის მუშაკებთან.

აფხაზეთის საწარმოებსა და დაწესებულებებში გაშლილია ბრძოლა აღებულ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

გ. მერკვილაძე

ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივი ანაღდებს დაპირებას

(ტელეფონით ჩვენი საქ. კორ.)

ფეროშენადნობთა ქარხნის მუშათა კოლექტივი წინასაყრილობო ვალდებულებების აღების შემდეგ წარმატებით მუშაობს. ქარხნის მუშაკებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ჩელიაბინსკის და ზაპოროჟიეს ქარხნები და იკისრეს პირველი კვარტალის გეგმის 10 მარტისათვის შესრულება.

ქარხნის კოლექტივმა უკვე მოიპოვა სათანადო მაჩვენებლები. ამ საქმეში თავი ისახელა მოლიბდენის საამქრომ, რომელმაც იანვრის გეგმა 106 პროცენტით, ხოლო თებერვლის პირველი 7 დღის გეგმა 162 პროცენტით შეასრულა. ამ საამქროს მეოთხე ბრიგადამ (ბრიგადირი—ამხ. ზ. ჭიჭინაძე) თებერვლის 8 დღის გეგმა 166 პროცენტით შეასრულა, მეორე ბრიგადამ (ბრიგადირი—ამხ. ა. რასკოვი) — 221 პროცენტით, ხოლო მოლიბდენის გამოყენება 99 პროცენტამდე გაზარდა.

ალუმინ-თერმიული საამქროს მესამე ბრიგადამ (ბრიგადირი — ამხ. გრ. კიკნაძე) თებერვლის 8 დღის გეგმა 206 პროცენტით შეასრულა, ამხ. გვალიას ბრიგადამ კი—184 პროცენტით.

ასეთი მაჩვენებლებით მუშაობენ ქარხნის საამქროების დანარჩენი ბრიგადებიც.

ივ. გოგიაშვილი

გმირული ეპოპეის 5 წლისთავი

1934 წლის 13 თებერვალს მკაცრსა და მიუკარებელ არქტიკაში დაიღუპა გემი „ჩელუსკინი“.

მთელი ჩვენი თვალუწვდენი ქვეყანა, მთელი მსოფლიო გულისფანცქალით ადევნებდა თვალყურს ამ გემის და მისი ეკიპაჟის, სახელოვანი ჩელუსკინელების გმირულ ბრძოლას ყინულეთის ჯოჯოხეთურ სტიქიონთან. დაიღუპა „ჩელუსკინი“, მაგრამ ჩელუსკინელებს ერთის წუთითაც არ დაუყრიათ იარაღი, ერთი წამითაც არ გაუვლია მათ გულში ეჭვსა და უიმედობას. ყველა ჩელუსკინელს, ყველას—გემიდან ყინულის მიუსაფარ ველზე გადმოსულ 104 კაცს სწამდა ჩვენი სამშობლოს ძლიერება, სწამდა, რომ ლენინ-სტალინის დიადი პარტიისა და დიდი სტალინის ხელმძღვანელობით სოციალიზმის სამშობლო შესძლებდა მათ დახსნას და გადარჩენას არქტიკის ტყვეობიდან. ჩელუსკინელთა იმედი ბრწყინვალედ გამართლდა. უძლეველმა სამშობლომ, ლენინ-სტალინის პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ იხსნა სტიქიონისაგან ჩვენი ქვეყნის 104 თავდადებული და ერთგული შვილი.

1933 წლის 12 ივლისი.

ლენინის ქალაქის იმ სანაპიროს, რომელიც ლეიტენანტ შმიდტის სახელს ატარებს, მიადგა შორეული ნაოსნობისათვის გამზადებული გემი „ჩელუსკინი“. გემთან თავი მოიყარეს ლენინგრადელებმა. იყო მიტინგი, კეთილი ნაოსნობის სურვილებით აღსავსე სიტყვები, ყვავილები და გამოთხოვება.

20 ივლისს „ჩელუსკინი“ მიადგა დანიის სატახტო ქალაქს — კოპენჰაგენს. 3 დღეს დარჩა იგი აქ.

29 ივლისს გაშლილ ზღვაში ქარიშხალი ამოვარდა. ვეებერთელა „ჩელუსკინს“ ნაფოტივით ათამაშებდა ზღვა და ტალღებმა სავსებით გადარეცხეს გემბანზე დაყრილი ქვანახშირის დიდი მარაგი.

ორი დღის შემდეგ „ჩელუსკინი“ ნორდკაპს მიუახლოვდა და ზღვის ღელვას გადარჩენილი, 2 აგვისტოს მიადგა მშობლიური მურმანსკის ნავსადგურს.

17 აგვისტოს „ჩელუსკინმა“ წითელდროშოვან „კრასინისაგან“ მიიღო ქვანახშირის ახალი მარაგი. თანაც დაიწყეს ყინულებით შეჭყლეტილი წინა ნაწილის შეკეთება.

24 აგვისტოს „ჩელუსკინი“ არქტიკული ნისლისა და ბურუსის ზონაში მოხვდა. გამოცდილ არქტიკულ კაპიტანს — ვორონინს უხდებოდა გემის ფრთხილად წაყვანა. მეორე დღეს ნისლმა გაიარა, მოიწმინდა და მოულოდნელად ჩელუსკინელების წინაშე უცნობი კუნძული აღიმართა. აღმოჩნდა, რომ ეს იყო განმარტოების კუნძული, რომელიც იმ დრომდე რუკაზე შეცდომით სხვა ადგილას იყო აღნიშნული.

შემდეგ დღეებში „ჩელუსკინმა“ განვლო ლაპტევების ზღვა, სანნიკოვის სრუტე და გავიდა აღმოსავლეთ ციმბირის ზღვაში. აქ ზღვის მაგიერ გემს მთლიანი ყინულის თვალუწვდენი ველი დახვდა. საჭირო გახდა საჰაერო დაზვერვა და მაშინ დაიწყო სახელგანთქმულმა მფრინავმა ბაბუშკინმა გაფრენები „ჩელუსკინით“ წაღებული თვითმფრინავით. მფრინავ ბაბუშკინს სასიხარულო ცნობები ვერ მიჰქონდა ჩელუსკინელებისათვის. ყინულთა სამეფოში ზღვა არსად სჩანდა და გასასვლელი არსად იყო.

ჩელუსკინელების მიზანი კი იყო გაერკვიათ, შეიძლებოდა თუ არა ჩვეულებრივი გემით, არა ყინულმჭრელით, მაგრამ ყინულიან ზღვებში ნაოსნობისათვის მომზადებული გემით, ისეთით, როგორიც „ჩელუსკინი“ იყო, ერთი სანავიგაციო პერიოდის განმავლობაში მურმანსკიდან ბერინგის სრუტეში გადასვლა ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანეთი. ეს იყო ძირითადი დანიშნულება ჩელუსკინელთა ექსპედიციისა. სანავიგაციო პერიოდი აქ სექტემბრის მეორე ნახევარში თავდება. „ჩელუსკინი“ ამ ხნის განმავლობაში რამდენჯერმე მიუახლოვდა ბერინგის სრუტეს, მაგრამ სტიქიამ იგი უკანვე გამოიტაცა.

სექტემბრის, ოქტომბრის, ნოემბრისა და დეკემბრის განმავლობაში ჩელუსკინელებს კიდევ არ ჰქონდათ დაკარგული დასახული მიზნის მიღწევის იმედი, მხოლოდ 1935 წლის იანვარში შეურიგდნენ ისინი იმ აზრს, რომ საჭიროა არქტიკაში დაიზამთრონ. ამ ხნის განმავლობაში ჩელუსკინელებმა ბევრი მძიმე მომენტი და გაჭირვება აიტანეს. ყინულთა მთები აწვებოდნენ გემს ყოველი მხრიდან, დაიწყებდა გემის კედლები ჭრიალს, ლამის გასკდნენო და ჩელუსკინელები ყინულზე გადაბარგდებოდნენ, მოუშვებდა ხელს ყინულების მუხრუჭი და ახლა ჩელუსკინელთა ბანაკში ნაპრალი გაჩნდებოდა, ჩელუსკინელები კვლავ გემზე გადადიოდნენ. ასე გრძელდებოდა თითქმის ორი თვის განმავლობაში.

13 თებერვალს გემი გასჭყლიტა ყინულთა მთამ. ყველამ მოასწრო გემიდან გადმოსვლა და სხვადასხვა მარაგის გადმოტანა. დაიღუპა მხოლოდ ერთი ჩელუსკინელი ბორის მოგილევიჩი. 104 ჩელუსკინელი დასახლდა ისტორიულ ბანაკში, რომელსაც შემდგომში ჩელუსკინელთა ბანაკი უწოდეს.

როგორ უნდა დაიხსნან ჩელუსკინელები,—მაშინ იყო, რომ გაისმა საგანგაშო ხმა მთელ მსოფლიოში. მაშინ იყო, რომ ასისინდნენ ფაშისტური ქვეყნების გაზეთები.

სოციალიზმის ქვეყნის წითელ დედაქალაქში მოსკოვში კი დინჯად და მოფიქრებულად ამუშავებდნენ ყინულეთის ტყვეთა გადარჩენის გეგმას. მთავრობის მიერ ჩელუსკინელთა გადასარჩენად გამოყოფილ კომისიას ხელმძღვანელობდა დაუვიწყარი ვ. კუიბიშევი.

ჩელუსკინელთა ბანაკისაკენ დაიძრნენ ყინულმჭრელები, თვითმფრინავები, მარხილები.

5 მარტს უშიშარმა მფრინავმა ანატოლი ლიაპიდევსკიმ, ბრწყინვალე ფურცელი ჩასწერა საბჭოთა ავიაციის ისტორიაში. იგი მიფრინდა ჩელუსკინელთა ბანაკში და სამშვიდობოზე გადმოსხა ბანაკში მყოფი ქალები და ბავშვები.

ერთი თვის განმავლობაში უტევდნენ არქტიკის ბუნებას საბჭოთა მფრინავები და ბოლოს მათ გაიმარჯვეს. სამი მხრიდან მიდიოდნენ ჩელუსკინელთა ბანაკისაკენ თვითმფრინავები: ალიასკიდან მიფრინავდნენ ლევანევსკი და სლეპნიოვი, ოლიუტორის კონცხიდან—კამანინი, მოლოკოვი და პივენშტეინი, ხაბაროვსკიდან — ვოდოპიანოვი, დორონინი და გალიშევი.

7 აპრილს ბანაკში მიფრინდა მავრიკი სლეპნიოვი. იმავე დღეს ჩაფრინდნენ ვასილ მოლოკოვი და ნიკოლოზ კამანინი. შემდეგ სხვებმაც მიაღწიეს ბანაკს და ჩელუსკინელები, ყველა 104 კაცი გადაიყვანეს დიდ მიწაზე.

ჩელუსკინელების ეპოპეამ უჩვენა მთელ მსოფლიოს, თუ როგორი თანმიმდევრობით და უნარით, როგორი ენერგიითა და შეუპოვრობით იბრძვის სოციალიზმის დიადი ქვეყანა კაცობრიობის ბედნიერი მომავლისათვის. ჩელუსკინელების გმირულმა ეპოპეამ გვიჩვენა, რომ დიადი საბჭოთა ხალხისთვის არ არსებობს არავითარი დაბრკოლება დასახული მიზნის მისაღწევად, რომ საბჭოთა ხალხი, რომელსაც ლენინ-სტალინის პარტია და ხალხთა დიდი ბელადი ამხანაგი **სტალინი** ხელმძღვანელობს, უძლეველია.

ყინულმჭრელი „ჩელუსკინი“

თეატრი, კინო, ცირკი სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მთავრდება 1400 მაყურებლისათვის გათვალისწინებული საესტრადო თეატრის მშენებლობა. აქ გამოვლენ ესტრადისა და თვითმოქმედი თეატრების საუკეთესო მსახიობები. შენდება ცირკი — „შაპიტო“ 240 მაყურებლისათვის. მწვანე თეატრი გათვალისწინებულია 5.000 მაყურებლისთვის.

გამოფენაზე ორი კინოთეატრია, ერთერთ მათგანში უჩვენებენ საუკეთესო მხატვრულ საბჭოთა ფილმებს. მეორე კინოთეატრი დანიშნულია მეცნიერულ-ტექნიკური ფილმების საჩვენებლად.

გადაწყვეტილია აგრეთვე გამოფენის ტერიტორიაზე მოეწყოს რამდენიმე მოედანი მოძრავ კინოდანადგარებისთვის, რომელთა ნაწილი დღის სინათლეზე იმუშავებს.

ნიადაგის მომზადებაში დიდი ჩამორჩენა

ლანჩხუთის მტს-მა ჯერ კიდევ 10 იანვრისათვის დაამთავრა ტრაქტორების რემონტი, ხოლო 11 იანვრიდან საკოლმეურნეო სასოფლო-სამეურნეო იარაღების შესაკეთებლად სოფლებში გაგზავნა 7 ბრიგადა. 25 იანვრისათვის სატრაქტორო ბრიგადებმა კოლმეურნეობებში უკვე დაამთავრეს მათთვის განსაზღვრული და გათვალისწინებული იარაღ-მანქანების შეკეთება და შეუდგნენ საგაზაფხულო ხვნას.

მიუხედავად ამ წარმატებისა, ზოგიერთი კოლმეურნეობა ჯერ კიდევ სუსტად ემზადება საგაზაფხულო თესვისათვის. მარტო შრომისუბნის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე — პ. მდინარაძე) შეუკეთებელი აქვს 10 ურემი, წითელიუბნის წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე — გ. ტუღუში) აკლია 10 ცალი სახნისი.

სუსტად მიმდინარეობს ნიადაგის მომზადება ჩაის, ციტრუსების, ვაზისა და ტუნგოსათვის. მიუხედავად იმისა, რომ ამ სამუშაოს დამთავრების ვადა უკვე გადის სოფელ ჩოლობარგის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე — თ. ფირცხალაიშვილი) არც ციტრუსებისათვის მოუმზადებიათ ნიადაგი, არც ვენახისა და არც ტუნგოსათვის (უნდა მომზადდეს 4 ჰექტარზე მეტი).

მსგავსი მდგომარეობაა ლანჩხუთის რაიონის მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებში. მაგალითად, ჭყონაგორას კოლმეურნეობაში ტუნგოსათვის უნდა მოემზადებინათ 2 ჰექტარი, — არ მოუმზადებიათ არცერთი, ხოლო ციტრუსებისათვის 2,5 ჰექტარიდან თებერვლის პირველი რიცხვებისათვის მხოლოდ 1 ჰექტარი გასწმინდეს, მაგრამ დამუშავების მხრივ არც ეს ფართობი არის მზად. ამავე კოლმეურნეობაში ვენახის ნიადაგიც გეგმის მხოლოდ 50 პროცენტი მოამზადეს (0,5 ჰექტარი). ვენახისა და სანერგისათვის ნიადაგი სრულიად არ მოუმზადებიათ ქვიანის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე — ალ. ალექსაია). წელს გაზაფხულზე აქ უნდა გაშენდეს აგრეთვე ციტრუსები 4 ჰექტარი, ხეხილი — 1, ბამბუკიც ამდენივე და იაპონური ხურმა 0,5 ჰექტარი, მაგრამ ჯერ არა თუ ნიადაგის მომზადება, ფართობიც არ არის რიგიანად შერჩეული.

ჩაის, ციტრუსების, ტუნგოს, იაპონური ხურმის, ბამბუკისა და სხვა კულტურებისათვის ნიადაგი მოუმზადებელია ნიგოითის კოლმეურნეობაშიაც (თავმჯდომარე — ავთ. ჩხაიძე).

სოფელ არჩეულას ნინოშვილის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც ჩაის, ტუნგოსა და სხვა კულტურებისათვის ნიადაგები არ მოუმზადებიათ, ციტრუსებისათვის წელს გაზაფხულზე გასაშენებლად გათვალისწინებული 5 ჰექტარი ჯერ ტყებუჩქნარიდანაც არ გაუწმენდიათ.

როგორ მიმდინარეობს რაიონში სოციალისტური შეჯიბრება საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩატარებისა და უხვი მოსავლის მიღებისათვის? ირკვევა, რომ ეს საკითხი კოლმეურნეობებში მიწგანს არც კი დაუმუშავებია. მეტიც—ჯერ კოლმეურნეობათა დიდ უმრავლესობაში არ შეუჯამებიათ შარშანდელი სოც. შეჯიბრების შედეგებიც, არ გამოხმაურებიან როგორც ქობულეთის, მახარაძის, გალის, ზუგდიდის, გორის, სტალინირის, სიღნაღისა და გურჯაანის რაიონების მოწინავე კოლმეურნეობათა მოწოდებას, რომელიც „კომუნისტის“ 16 იანვრის ნომერში დაიბეჭდა, ისე თბილისის რაიონის ორთაჭალის კოლმეურნეობის მიმართვას, რომელიც ჯერ კიდევ 11 დეკემბერს გამოქვეყნდა „კომუნისტში“. ამ მოწოდებებს მთელი რიგი კოლმეურნეობები იხილავენ მიწგანის მონაწილეობისა და დახმარების გარეშე.

ტრ. ვარდიძე

იაპონიის დესანტის გადმოსხმა ხაინანის კუნძულზე

ლონდონი, 10 თებერვალი (საკდესი). ჩინეთიდან მიღებული ცნობებით, 10 თებერვალს, დილით ადრე იაპონელებმა ხაინანის კუნძულის (სამხრეთ ჩინეთის ზღვაში) ჩრდილოეთ სანაპიროზე გადმოსხეს საზღვაო და ქვეითი ჯარის ერთეულები. ჩინეთის სანაპირო ჯარის ერთეულებმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს იაპონელებს. იაპონიის დესანტმა, რომელმაც გამოიყენა თავისი უდიდესი რიცხვობრივი უპირატესობა, სძლია თავდაცვის მცირე რაზმების წინააღმდეგობას და მიიწევს კუნძულის სიღრმეში მთავარ ქალაქ ციუნჯოუსაკენ.

○

ხაინანის კუნძული მდებარეობს ჩინეთის სამხრეთ სანაპიროზე; მატერიკისაგან მას ჰყოფს ხაინანის ვიწრო სრუტე (20-25 კილომეტრის სიგანისა). კუნძულის ფართობი 34 ათას კვად. კილომეტრს უდრის, მოსახლეობა 2 მილიონ კაცს აღემატება. კუნძულის მნიშვნელოვანი ნაწილი ტყით არის დაფარული. ჰა ტროპიკულია. მოსახლეობა უმთავრესად სოფლის მეურნეობას მისდევს. მოჰყავთ ბრინჯი, მიწის თხილი, შაქრის ლერწამი. განვითარებულია მეღორეობა, მეაბრეშუმეობა. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მეთევზეობას ეწევა.

კუნძულს განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან იგი საფრანგეთის კოლონიის —ინდო-ჩინეთის გზაზე და ფილიპინის კუნძულების მახლობლად მდებარეობს. იაპონელთა განზრახვამ ხელთ ეგდოთ კუნძული 1938 წელს ურთიერთობის გამწვავება გამოიწვია იაპონიასა და საფრანგეთს შორის და საფრანგეთმა 1938 წლის ივლისში დემონსტრატიულად დაიკავა პარასელის კუნძულები, რომლებიც ხაინანის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობენ. აგრესორებისადმი დათმობით გამხნევებული იაპონიის სამხედრო ხროვა ახლა ხაინანის დაპყრობას შეუდგა.

იუგოსლავიის ახალი საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება

პრაღა, 10 თებერვალი (საკდესი). იუგოსლავიის ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი მარკოვიჩი, ყოფილი ელჩი ბერლინში, გუშინ ბელგრადს გაემგზავრა. გამგზავრების წინ მარკოვიჩმა გერინგთან გამართულ ბანკეტზე განაცხადა:

„მინისტრის პოსტზე ჩემი ამოცანა იქნება არამარტო შენარჩუნება, არამედ აგრეთვე შემდგომი განვითარება იუგოსლავიის მეგობრული ურთიერთობისა გერმანიასთან“.

ინგლისის რეაქცია მოითხოვს რესპუბლიკური ესპანეთის კაპიტულაციას

ლონდონი, 10 თებერვალი (საკდესი). ინგლისის რეაქციული წრეები, ამზადებენ რა საზოგადოებრივ აზრს რესპუბლიკური ესპანეთის მიმართ ახალი გამცემლური აქტების ჩასადენად, გაძლიერებით ეწევიან იმის პროპაგანდას, რომ ესპანეთის ომი თითქოს სწრაფად უახლოვდება დასასრულს. ვრცელდება პროვოკაციული ხმები საზავო მოლაპარაკების შესახებ, რომელიც ვითომდა ამჟამად სწარმოებს ნეგრინსა და მეამბოხეებს შორის.

○

გუშინ ესპანეთის საელჩომ ლონდონში გამოაქვეყნა განცხადება, რომელიც კატეგორიულად უარჰყოფს ხმებს „საზავო მოლაპარაკების შესახებ“ და ამავე დროს ადასტურებს, რომ „ძალაში რჩება და შესრულდება კიდევაც ესპანეთის მთავრობის გადაწყვეტილება ბრძოლის განგრძობის შესახებ“.

18 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის სახელობის რაიკომის სხდომათა დარბაზში იხსნება

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის სახელობის რაიონის XXI პარტიული კონფერენცია.

დღის წესრიგი:

1. ამხ. მოლოტოვის მოხსენების თეზისებზე სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.
2. ამხ. ჟდანოვის მოხსენების თეზისებზე საკ. კ. პ. (ბ) წესდებაში ცვლილებათა შესახებ.
3. საქართველოს კ. პ. (ბ) XII ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატების არჩევნები.

რაიონულ კონფერენციაზე გასაგზავნად არჩეულ დელეგატებს მანდატები ეძლევათ რაიკომში დღის 10-დან 5 საათამდე და საღამოს 8-დან 12 საათამდე.

წითელი არმიის XXI წლისთავისათვის

ხასანის ტბასთან მომხდარ გმირულ ბრძოლათა ეპიზოდები

ორი იერიში

საღამოს ჟამს, მძიმე გადასვლის შემდეგ, ტანკების კოლონა მოვიდა ზარეჩიეში. მანქანები შეამოწმეს და შენიღბეს.

— ყველაფერი რიგზეა!

— ტანკები მზად არიან იერიშისათვის! — აცხადებდნენ ეკიპაჟთა მეთაურები. თვითეულ მათგანს უნდოდა ახლავე ჰკვეთებოდა მტერს. აქ, როდესაც სამურაებამდე მცირე მანძილია დარჩენილი, მთელი არსებით განსაკუთრებით მწვავედ ჰგრძნობ, როგორ ახლოვდება ბრძოლის წუთები, წუთები, რომლებისთვისაც წლობით ვემზადებოდით. აქ აბარებ ანგარიშს სამშობლოს, თუ რამდენად ხარ მომზადებული მუშურ-გლეხური წითელი არმიის მებრძოლის ყველაზე წმინდათა-წმინდა და ყველაზე მთავარი მოვალეობისათვის—რამდენად იცი მტრის მოსპობა...

გათენებისას მიღებულ იქნა მოკლე, ლაკონიური ბრძანება: „გადით გამოსავალ წერტილზე სიმაღლე პულემიოტნაიასაკენ“. ერთ წუთს ეკიპაჟები ჩუმად და უძრავად იდგნენ, როგორც ოჯახი შორ გზაზე გამგზავრების წინ. უფროსმა ლეიტენანტმა ამხანაგმა ნიკიტინმა მწყობრში გაჩერებულთ გამჭრიახი თვალი გადაავლო და გასცა ბრძანება: „აამუშავეთ!“

ტანკების ზურგზე დაფენილი მწვანე ბუჩქები თითქოს მსუბუქმა ნიავმა შეარხია და შეაშრიალა. ამხ. ნიკიტინის დანაყოფი დაეწყო საბრძოლო წესით და სრული სისწრაფით გაემართა მტრის საცეცხლო წერტებისაკენ.

ტანკისტებს ძნელი, მაგრამ საპატიო ამოცანა ხვდათ. თვით სიტყვა „პულემიოტნაია“ უკვე ბევრის მეტყველი იყო. პატარა მაღლობზე სამურაებმა დადგეს ათობით ტყვიამფრქვევები და ჩვენს მსროლელებს გადაუღობეს გზა სოპკა ზაოზერნაიასაკენ. ამიტომაც ჩვენმა წითელარმიელებმა ამ მაღლობს „პულემიოტნაია“ უწოდეს.

რკინისა და ფოლადის მრისხანე ტალღა უხმაუროდ უახლოვდებოდა მტრის ბანაკს. აი როგორღაც გაშმაგებით აკაკანდნენ „გოჩკისები“, აფეთქდნენ პირველი საარტილერიო ყუმბარები, რომლებსაც გვიგზავნიდნენ მანჯურიის „დოტებიდან“.

ქარი ხან გვიახლოვებდა, ხან ჰფანტავდა მოტორების მძლავრ გუგუნს. ხმელეთის ჯავშნოსანთა კოშკები ნელნელა მიმართავდნენ ქვემეხთა ყელს სამურაების საცეცხლო წერტებისაკენ. აქა-იქ ავარდებოდა ხოლმე ალი. მიზანი მტკიცედ და ზუსტად იყო აღებული! სამურაების ქუდებთან ერთად ჰაერში იფანტებოდა ტყვიამფრქვევის ნაწილები, ხოლო ცოტა მარჯვნივ კარგად დამიზნებული ყუმბარებისაგან, რომლებსაც ამხ. კონიკის ტანკი ჰგზავნიდა, ჰაერში შეტრიალდებოდნენ ხოლმე ტანკის საწინააღმდეგო ზარბაზნების თვლებიც.

გრიგოლ კონიკი, გამოცდილი ტანკისტი, „სდარაჯობდა“ სამურაების შენიღბულ ქვემეხებს. მისი ტანკი ხან მარჯვნივ გამოჩნდებოდა, ხან სწრაფად გადადიოდა მარცხენა ფლანგზე, ემორჩილებოდა რა ლეიტენანტ პოდჩეიმოვის განკარგულებას:

— სვლას უმატე, კონიკ, სვლას უმატე!.

ტანკი გაიჭრა ჭაობისაკენ, ჩავიდა ლელიანში და არტილერიისა და ტყვიამფრქვევების სწრაფი ცეცხლით დაჰფარა ტანკებისა და ქვეითი ჯარის გავლა. მოტორი განუწყვეტლივ მუშაობს. როდესაც ჩვენი მანქანები ჯავშნიან ტალღად ამოგორდნენ სოპკის იქიდან, მათ ფლანგიდან დაუშინა ცეცხლი სამმა ტანკის საწინააღმდეგო ზარბაზანმა.

— ესროლე პირდაპირი დამიზნებით! — შესძახა კონიკმა.

ზედიზედ გავარდა სამი ყუმბარა. ლეიტენანტმა პოდჩეიმოვმა პირდაპირ მოახვედრა მიზანში. საჭვრეტ ხვრელს მიკრული, ის ხედავდა მხოლოდ იმას, რასაც უმიზნებდა. დანარჩენი მისთვის არ არსებობდა.

კოშკის მსროლელი ამხ. ბოგდანოვი ახლა მოტორისტის მაგივრად მუშაობდა. მოტორი შეუფერხებლივ მუშაობდა ნელი სვლით. მან იცოდა, რომ მოტორი არ უღალატებდა და გადასწყვიტა გასულიყო დასაზვერავად: „თუ არ დავბრუნდი, — უთხრა მან კოშკის მეთაურს, უჩემოდ წადით“.

ახლოს მდებარე სიმაღლეებიდან იაპონელებმა შეამჩნიეს საშიში საბჭოთა ტანკი. ბევრი ქვემეხის ცეცხლი აქეთ იქნა გადმოტანილი.

—ვერ მიაღწია, გადასცდა, მარჯვნივ, მარცხნივ!—მშვიდად და წყნარად გადასცემდა ბოგატოვი ტანკის მეთაურს ყუმბარების აფეთქებათა შესახებ.

გამბედავმა მოტორისტმა სწრაფად დაზვერა ტანკის საწინააღმდეგო ზარბაზნების მდებარეობა. დაწვრილებით მოახსენა მეთაურს.

ტანკი იცვლის საცეცხლო პოზიციას. ისევ იწყებს სროლას.

მამაცთა ეკიპაჟი კვლავ შეამჩნიეს. სამურაებმა ვერ მოახერხეს ხელი შეეშალათ ტანკების იერიშისათვის და გადასწყვიტეს ამ მანქანაზე ამოეყარათ ჯავრი. საშინელი იყო ცეცხლის ქარიშხალი. გარშემო ყუმბარების აფეთქებისაგან ყურთასმენა აღარ იყო. მიწა ისე ავარდებოდა მაღლა, როგორც ზღვა კლდოვან ნაპირთან. მიწის წვიმა განუწყვეტლივ მოდიოდა, ცვივოდა ქვის ნატეხები, მაგრამ ამაოდ. ჩვენმა ეკიპაჟმა გაანადგურა რამდენიმე ხილული მიზანი და დაინახა, რომ საბჭოთა ტანკებმა, შეასრულეს რა საბრძოლო ამოცანა, იბრუნეს პირი გამოსავალი ხაზისაკენ. ამ მომენტში „აბეზარი ტანკის“ წინა ჯავშანს მოხვდა იაპონელთა ყუმბარა. აფეთქებამ გააბრუა ლეიტენანტი პოდჩეიმოვი, რომელიც თვალს ადევნებდა ტანკისტების საზეიმო დაბრუნებას. მაგრამ ტანკის დამტვრევა მაინც ვერ მოახერხდა. იგი ყველასთან ერთად საბრძოლო კოლონად ბრუნდებოდა შესაკრებ პუნქტზე.

პირველმა იერიშმა დიდი ზიანი მიაყენა იაპონელებს. საბჭოთა ტანკისტები ემზადებოდნენ განმეორებითი იერიშისათვის...

○

მეორე იერიში დაემთხვა შესანიშნავ დღესასწაულს. სსრ კავშირის მშრომელები აღნიშნავდნენ შორეული აღმოსავლეთის წითელდროშოვანი განსაკუთრებული არმიის ჯარების ცხრა წლისთავს.

მეორე იერიშმა, რომელსაც დიდი ხანია მოელოდნენ იაპონელები, მათ მოლოდინს გადააჭარბა.

იგი დაიწყო საარტილერიო ცეცხლის ძლიერი ქარიშხალით. ხოლო როდესაც მზე ზენიტში ავიდა, უღრუბლო ცაზე გამოჩნდნენ საბჭოთა თვითმფრინავები. პირველად ცოტანი იყვნენ მაგრამ მოახლოვებული გუგუნი უფრო და უფრო ძლიერდებოდა.

აი გაიარა ყუმბარმზიდთა პირველმა ეშელონმა, მას მოჰყვა მეორე, მესამე... ბრძოლაში კვლავ ჩაერია არტილერია. სამურაების შიში უზომოდ დიდი იყო. ისინი თავს აფარებდნენ სანგრებსა და თხრილებს და ცდილობდნენ თავი დაეღწიათ მარჯვედ დამიზნებული ყუმბარებისათვის. მაშინ ბრძოლაში ჩაერიენ გამანადგურებლები, ისინი ეშვებოდნენ მიწამდე და იაპონელებს სეტყვასავით აყრიდნენ გავარვარებულ ტყვიას.

აგუგუნდნენ ტანკები. ჯავშნიან ტალღად გამოიჭრნენ ისინი სოპკის მეორე მხრიდან, რომ საბოლოოდ გაენადგურებინათ გულზვიადი იაპონელი სამურაები, რომლებსაც ამავე დროს არა ჰქონდათ თავისი ძალების რწმენა.

მანქანა, რომელიც უმცროს მეთაურს ამხ. კონიკს მიჰყავდა, სწრაფად გაიჭრა მტრის ტყვიამფრქვევებისაკენ. აი უკვე გამოჩნდა სანგრების პირველი ხაზი. ანადგურებდა რა ქვეითს ჯარს, ტანკმა ერთი ბიძგით გათელა ტყვიამფრქვევი. ბრძოლის სიმფონიამ გაიტაცა მამაცი ეკიპაჟი. ამხ. კონიკმა გადალახა ჭაობი და წაიყვანა ტანკი მავთულის ღობურის ხაზზე, რომ გზა გაენთავისუფლებინა ჩვენი ქვეითი ჯარებისათვის. ტანკის მძღოლმა ბერკეტების ხშირხშირად გამორთვით მუხლუხა მიმართა გადარჩენილი ტყვიამფრქვევებისა და მათი მომსახურებისაკენ.

წინ პატარა ბორცვია. მანქანამ უკლო სიჩქარეს და გასცდა მის მწვერვალს. საჭვრეტ ხვრელში ამხ. კონიკმა მარჯვნით დაინახა სამურაი, რომელიც მოხიხავდა ხელყუმბარების მთელი კონით. ტანკის მძღოლმა გამოიყენა ბორცვის კალთა, ჩართო მესამე სიჩქარე, ტანკი შეინძრა, შეჰკრა კამარა და „ტანკზე მონადირემ“ ვერ მოასწრო ხელყუმბარების გადმოგდება, რომ მძიმე მანქანამ გასრისა იგი.

მანქანაში ცხელი და სულშემხუთავი ბული იდგა. მოტორის გუგუნისა და მანქანის რყევისაგან ეკიპაჟს ყურები ჰქონდა გამოჭედილი. მაგრამ არავითარ ძალას არ შეეძლო სწრაფი იერიშის შეჩერება. ცეცხლმოკიდებული ბალახიდან დგებოდნენ შიშისაგან გონებადაკარგული იაპონელები, რომ არასოდეს აღარ შემოედგათ ფეხი საბჭოთა მიწაზე. ისმოდა ყვირილი და სამურაები ცვივოდნენ საბჭოთა ტანკის მუხლუხის ქვეშ.

ასეთი იერიში იაპონელებს არასოდეს დაავიწყდებათ...

○

აი ჩვენ წინ დგას ორი სატანკო იერიშის გმირი მონაწილე კომკავშირელი გრიშა კონიკი. იგი თვითონაც ღელავს, როდესაც იგონებს განცდილ საათებს. მან ეს არის გაათავა კითხვა რომანისა „აღმოსავლეთში“. ამ წიგნის ამაღელვებელი ფურცლები მიძღვნილი აქვს მომავალ ბრძოლებს შორეულ აღმოსავლეთში, და აი ის კითხულობს წიგნში, რომ მოსკოვმა გვიან ღამით გაიგო მტრების ვერაგული თავდასხმის შესახებ. და მაშინ კრემლიდან პოლიტბიუროს წევრებთან ერთად დიდ თეატრში მოვიდა სტალინი, რომ მოსკოვთან ერთად ყოფილიყო. სტალინის სახე მკაცრი იყო, იგი აჩქარებით მიდიოდა, ხალხი შეჰხაროდა და ეძახდა: „სტალინ! სტალინ! სტალინ!“. ეს იყო ძალისა და პატიოსნების ძახილი, იგი გაისმოდა როგორც ძახილი „წინ!“. შემდეგ სტალინმა ილაპარაკა. მისი სიტყვები ისმოდა მთელ ჩვენს ქვეყანაში, ისინი ერეოდა ცეცხლსა და ყუმბარების გრიალს სანაპირო ბრძოლაში. რადიორუპორებს მიჰქონდათ მისი ხმა მიწისქვეშა სიმაგრეების მებრძოლებთან, მფრინავებთან, ტანკისტებთან. ეს იყო ჩვენი სამშობლოს ხმა, უბრალო და ნათელი, უსაზღვროდ პატიოსანი, მამობრივად აუჩქარებელი, სტალინის ხმა.

— სტალინის სახელით გულში, სტალინის სახელით ბაგეზე,—ამბობს ა. კონიკი, — ჩვენ მივდიოდით იერიშზე, უშიშრად და ურყევად. მომავალ ბრძოლებშიც სტალინი, დიდი და საყვარელი ბელადი, აღგვაფრთოვანებს გმირული საქმეების შესასრულებლად ჩვენი სამშობლოსათვის, კომუნიზმისათვის.

ვ. ჩერნიშევი

„ტრევოგა“, 1938 წლის 29 აგვისტო, № 200.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

ბოლშევიკურად ვუხელმძღვანელოთ პარტიულ კრებების ჩატარებას

კრება დიდი ინტერესით ჩატარდა

თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის პარტორგანიზაციის დახურულმა კრებამ, რომელიც ამ დღეებში ჩატარდა, მოისმინა გ. კიკნაძისა და ი. პაპავას მოხსენებანი ამხანაგების მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისების შესახებ.

მოხსენებათა გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო ვ. მარკოვმა, ი. ეგოროვმა, ა. ჭოხონელიძემ, გ. გაჩეჩილაძემ, დ. ოქრუაშვილმა, მეტონიძემ და სხვ.

ამხ. ი. ეგოროვმა ილაპარაკა საკ. კ. პ. (ბ) ამჟამად მოქმედ წესდებაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობის შესახებ. — პირადად მე გასულ წელს ცილისწამების საფუძველზე გამრიცხეს პარტიიდან. არ შეისწავლეს ჩემი საკითხი საფუძვლიანად, არ მკითხეს, თუ რაში იყო საქმე. ჩემს მიმართ დაუდევრობა გამოიჩინა ლენრაიკომმაც.

—ამხ. ჟდანოვის მოხსენების თეზისების მიხედვით,—აღნიშნა ამხ. ეგოროვმა, — გაზრდილია პარტიის წევრის უფლებები. თვითეულ კომუნისტს უფლება ექნება გააკრიტიკოს პარტიულ კრებაზე პარტიის ყველა მუშაკი; მათ უფლება აქვთ აირჩიონ და არჩეულ იქნან პარტიულ ორგანოებში, უფლება აქვთ მოითხოვონ პირადი მონაწილეობა ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც გამოაქვთ გადაწყვეტილება მათი საქმიანობის შესახებ. პარტიის წევრთა უფლებაა მიმართონ ყოველგვარი შეკითხვით და განცხადებით ყოველ პარტიულ ინსტანციას, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტსაც კი.

— ჩვენი ქარხნის კოლექტივი ჩაება წინასაყრილობო შეჯიბრებაში და იკისრა ახალი ვალდებულებანი. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ჯერჯერობით ჩვენი სიტყვა საქმედ ვერ ვაქციეთ, ვერ ვასრულებთ დღიურ გეგმებს. ასე, მაგალითად, ყოველდღიურად უნდა გამოვუშვათ არა ნაკლებ 20 მანქანისა, სინამდვილეში კი პირველ თებერვალს გამოვუშვით 13 მანქანა, ორში—15, სამში—11, ოთხში — 8, ხუთში—11 და ასე შემდეგ. მდგომარეობა სასწრაფოდ უნდა გამოვასწოროთ, უნდა გავზარდოთ წარმოებაში კომუნისტების ავანგარდული როლი, განვამტკიცოთ შრომის დისციპლინა,—განაცხადა კრებაზე ამხ. ა. ჭოხონელიძემ.

— ხშირად ჩვენი წარმოების ინტელიგენტები, — სთქვა ამხ. გ. გაჩეჩილაძემ, — ვერ შოულობდნენ რეკომენდატორებს, რის გამო ჭიანურდებოდა მათი პარტიაში მიღება. ახლა კი ყველასათვის ერთნაირი წესი იარსებებს. ეს აუცილებლად შეუწყობს ხელს პარტიის რიგების გაზრდას.

კრებამ ლენინის რაიონულ კონფერენციაზე დასასწრებლად აირჩია გადამწყვეტი ხმის უფლებით 6 დელეგატი, სათათბირო ხმის უფლებით—3 დელეგატი. გადამწყვეტი ხმის უფლებით დელეგატებად არჩეული არიან: ა. რაფავა, მ. ჯაში, ი. პაპავა, შ. სარაული, სალაძე და სხვ.

მ. თევზაძე,
შ. ოზაშვილი

აიღეს ახალი ვალდებულებანი

(ბათუმი, საკ. კორესპონდენტისაგან)

ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის პირველადი პარტორგანიზაციის კრება, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინათ შესდგა, კომუნისტების პოლიტიკური აქტივობით ჩატარდა. კრებამ განიხილა ამხანაგების მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისები. ამ საკითხებზე მოხსენებით გამოვიდნენ ამხ. ა. მანიაფოვი და ბ. გერვასი.

კრებაზე კამათში გამოსულმა კომუნისტებმა ნ. ფილიპოვმა, გ. მაზმანიშვილმა, არ. ოვანესიანმა, ვ. ხმიროვმა და სხვ. ერთსულოვნად მოიწონეს ამხანაგების მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისები და კონკრეტული საწარმოო ვალდებულებები იკისრეს.

ამხ. გ. მაზმანიშვილმა, რომლის ხელმძღვანელობით ქარხნის სახარატო საამქრომ იანვრის საწარმოო გეგმა 120 პროცენტით შეასრულა, აიღო ვალდებულება, რომ მიღწეული წარმატებების განმტკიცებით კიდევ უფრო მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით შეასრულებს თებერვლის საწარმოო გეგმას.

ჩვენი ბრიგადა კისრულობს, — განაცხადა კრებაზე სტახანოველმა ბრიგადირმა, ზეინკალმა ამხ. ნ. ფილიპოვმა, — 10 მარტისათვის 275 პროცენტით შეასრულოს კვარტალური საწარმოო გეგმა. ჩვენ ამჟამად ენერგიულად ვიბრძვით იმისათვის, რომ საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობას მოვუმზადოთ ახალი საჩუქარი. ახალი ვალდებულებები აიღეს აგრეთვე ამხ. ვ. ხმიროვმა, ა. ოვანესიანმა და სხვ.

მოხსენებათა გამო პარტიულმა კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც მანქანათმშენებელი ქარხნის კომუნისტები მთლიანად იწონებენ ამხანაგების მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისებს.

კრებამ ფარული კენჭისყრით აირჩია საკ. კ. პ. (ბ) ბათუმის საქალაქო IV პარტკონფერენციის დელეგატებად გადამწყვეტი ხმით — ამხ. ა. ბალანკოვი და ა. მანიაფოვი, ხოლო სათათბირო ხმით—ამხ. ფ. კისელი.

ქ. დობორჯგინიძე.

თეზისები მოიწონეს

(თელავი, საკ. კორესპონდენტისაგან)

ამ დღეებში ჩატარდა სოფელ ზემო-ალვანის შინსახკომის სახელობის კოლმეურნეობის დახურული კრება. ამხანაგების მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისების შესახებ მოხსენება გააკეთა პარტრაიკომის მდივანმა ამხ. დ. ცირეკიძემ.

კამათში გამოვიდნენ, ამხ. ა. ბორძიკიძე, გ. ქადაგიძე, ი. წოტონიძე, და სხვ. მოკამათენი ერთსულოვნად იწონებდნენ თეზისებს.

კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც იწონებს თეზისებს. რეზოლუციაში აგრეთვე ნათქვამია, რომ მესამე ხუთწლედში შინსახკომის სახელობის კოლმეურნეობა ცხვრისა და თხის სულადობას 125 პროცენტით გაზრდის.

დასასრულ, სარაიონო პარტკონფერენციაზე გასაგზავნ დელეგატებად კრებამ ფარული კენჭისყრით აირჩია ამხ. გ. აბაშიძე გადამწყვეტი ხმით და ა. ბორძიკიძე სათათბირო ხმით.

გ. ასათაშვილი

პირველი დელეგატია დიდი სტალინი

ამ დღეებში კომუნისტთა უდიდესი აქტივობით ჩატარდა თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმაველ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის დახურული პარტიული კრება. ამხანაგების მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისების განხილვის შესახებ მოხსენებით გამოვიდნენ ამხ. მ. ჩუბინიძე და სვანაძე.

მოხსენებათა გარშემო გაიმართა კამათი.

— საბჭოთა ხალხმა ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით, — აღნიშნა კრებაზე სტახანოველმა ამხ. კაპიანიძემ, — მიაღწია უდიდეს წარმატებებს სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე. სსრ კავშირის მშრომელთა შორის ჰქრება კლასობრივი ზღუდეები.

ამხანაგ ჟდანოვის მოხსენების თეზისებში აღნიშნულია, რომ „ამ ახალ ვითარებაში მომწიფდა იმის აუცილებლობა, რომ შეცვლილ იქნას პარტიაში ახალ წევრთა მიღების პირობები, რომლებსაც ითვალისწინებს წესდება". — ცოტა კი არ მოგვეპოვება იმის ფაქტები, რომ ინტელიგენტებს უდიდესი მისწრაფება ჰქონდათ პარტიაში შესასვლელად, მაგრამ ვერ შოულობდნენ რეკომენდატორებს. ამჟამად მომქმედი წესდების ამ მუხლის შეცვლა აუცილებლად მიზანშეწონილად მიმაჩნია,—განაცხადა ამხ. კაპიანიძემ.

საქვაბე საამქროს სტახანოველმა, ორდენოსანმა ამხ. მ. გეწაძემ, მოიწონა რა ამხანაგების მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისები, აღნიშნა ის გრანდიოზული წარმატებანი, რომლებიც მოიპოვა მშრომელმა ხალხმა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით. ამხ. გეწაძემ აიღო ვალდებულება, რომ თებერვალში შეაკეთოს 30 ორთქლმავლის ქვაბისათვის საჭირო ნაწილები. ახალი ვალდებულება იკისრა სტახანოველმა ამხ. პ. ჟავორონკოვმაც.

პარტიულ კრებაზე საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა სტახანოველმა ამხ. ვ. დევსურაშვილმა აიღო ვალდებულება გეგმის ზევით შეაკეთოს სამი ორთქლმავალი.

კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელიც ერთსულოვნად იწონებს ამხანაგების მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისებს.

სტალინის სახელობის ქარხნის ბოლშევიკებმა თავის პირველ დელეგატად ლენინის რაიონის პარტკონფერენციაზე ერთსულოვნად აირჩიეს მთელი მსოფლიოს მშრომელთა საყვარელი ბელადი, საქართველოს და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ფუძემდებელი დიდი სტალინი. ასევე ერთსულოვნად იქნა არჩეული რაიონული კონფერენციის დელეგატად საუკეთესო სტალინელი ამხ. ლ. პ. ბერია. აგრეთვე არჩეული არიან კონფერენციის დელეგატებად ამხანაგები კ. ჩარკვიანი, ს. იშხანოვი, მ. ჩუბინიძე, ი. სვანაძე, ე. წამალაიძე, დ. ჭიჭინაძე, ა. ლისენკო, ი. დევსურაშვილი, ი. სელიხოვი, მ. გეწაძე, ვ. ჯაგაევი და სხვ. — სულ 64 კაცი გადამწყვეტი ხმით და 10 სათათბირო ხმით.

ლ. გვარამაძე.

კიროველთა პარტიულ კრებაზე

ნაშუადღევის სრულ 5 საათზე დაიწყო თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის პარტიული კრება. აღნიშნულ კრებაზე ფართოდ განიხილეს ამხ. მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისები.

ამხ. მოლოტოვის მოხსენების თეზისებზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. ლ. გეგეშიძე, ხოლო ამხ. ჟდანოვის მოხსენების თეზისების შესახებ მოხსენება გააკეთა ლენინის რაიკომის მდივანმა ამხ. გ. გაბუნიამ.

მოხსენებათა გარშემო გამართულ კამათში გამოსულმა ორატორებმა ერთსულოვნად მოიწონეს თეზისები და ილაპარაკეს იმ წარმატებებზე, რომლებიც მოიპოვა ლენინ-სტალინის პარტიამ.

— მე გულდასმით წავიკითხე ამხანაგების მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისები, — აღნიშნავს ქარხნის სტახანოველი ამხ. ვ. პროხოროვი, — თეზისებში მოცემულ ყველა საკითხს ვეთანხმები. დროული და მიზანშეწონილია საკ. კ. პ. (ბ) წესდებაში ცვლილების შეტანა. ეს ცვლილებები გამოწვეულია ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებით და ამასთან დაკავშირებული ახალი ვითარებით. ცოტა როდი გვყავს ისეთი ინტელიგენტი, რომელიც გუშინ მუშა ან გლეხი იყო, ახლა კი ინჟინერი, ტექნიკოსი, მასწავლებელი ან ექიმია. მათ სურთ გახდნენ ლენინ-სტალინის პარტიის ღირსეული წევრები. მაგრამ ხშირად ისინი ვერ შოულობდნენ რეკომენდატორებს და ხელი ეშლებოდათ შესულიყვნენ პარტიის რიგებში. ამჟამად ყველასათვის — მუშის, კოლმეურნისა და მოსამსახურისათვის შექმნილი იქნება პარტიაში მიღების ერთნაირი წესი. ეს უთუოდ მისასალმებელია.

— ჩვენი ქარხნის საამქროებში,— სთქვა ამხ. ი. ღამბაშიძემ,—გულდასმით განვიხილეთ ამხანაგების მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისები. მუშათა სახელდახელო მიტინგზე, რომელიც ამ დღეებში ჩატარდა, ვიკისრეთ, ახალი ვალდებულება, რათა თებერვლის გეგმა 110 პროცენტით შევასრულოთ. ეს მდგომარეობა პირველ რიგში გვავალებს ჩვენ, კომუნისტებს, ვიმუშაოთ მთელი მონდომებით, გავზარდოთ ავანგარდული როლი, განვამტკიცოთ საწარმოებში შრომის დისციპლინა, ვიყოთ მაგალითის მაჩვენებლები. ჩვენმა ქარხანამ ღირსეული საჩუქრები უნდა უძღვნას საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობას.

სიტყვებით გამოსულმა ამხანაგებმა ა. აგაჯანოვმა, ნ. მაქსიმოვმა, ა. ნაჯაფ-ზადემ, ბ. არუთინოვმა, ალ. ჩუბინიშვილმა და ი. ნევზოროვმა ერთსულოვნად მოიწონეს მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისები და აიღეს ახალი ვალდებულებანი.

კრებამ ფარული კენჭისყრით ლენინის რაიონული კონფერენციის დელეგატებად გადამწყვეტი ხმის უფლებით აირჩია ამხანაგები: ვ. ბაქრაძე, ნ. დოგსოპულო, გ. გაბუნია, ნ. ორჯონიკიძე და ბარინოვი, სათათბირო ხმის უფლებით ლ. სილაბტარიანი, ვ. გაბაძე და ვ. პროხოროვი.

მ. სირაძე

თბილისის კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის პირველადი პარტორგანიზაციის დახურული კრება, რომელზეც განხილულ იქნა ამხანაგების მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისები საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობისათვის.
სურათზე: მარცხნივ — პარტიულ კრებაზე. მარჯვნივ — სიტყვას ამბობს ქარხნის სტახანოველი სიმონ მეტრეველი.

ფოტო რ. აკოფოვისა

თეზისები მოიწონეს და წინადადებებიც წამოაყენეს

საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პარტორგანიზაციის დახურულ კრებას, რომელმაც განიხილა ამხანაგების მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისები საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობისათვის, ორგანიზაციის წევრთა 100 პროცენტი დაესწრო. მომხსენებელმა ამხ. ვ. იმედაშვილმა დაწვრილებით გააცნო დამსწრეთ ეს დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტები.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო ორგანიზაციის თითქმის ყველა წევრმა. გამოირკვა, რომ კომუნისტი სპეციალისტები: გ. კაპანაძე, ან. რჩეულიშვილი, ნინო ჯღარკავა, ლ. ბურჭულაძე, ქ. გოგუაძე, გ. ჩილაური, პ. მეგრელიშვილი და ალ. ნიკოლაიშვილი განსაკუთრებით მოემზადნენ კრებისათვის — ჩაიწერეს საკითხები, მოამზადეს შენიშვნები, დასახეს ამოცანები, თუ რაზე უნდა იმუშაოს და გაამახვილოს მომავალში ყურადღება ინსტიტუტმა, მათვე იკისრეს კონკრეტული ვალდებულებანი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის და სხვ.

კამათში გამოვიდნენ ამხ. კაპანაძე, ჯღარკავა, გოგუაძე, რჩეულიშვილი და სხვ.

ამხ. გ. კაპანაძემ წამოაყენა წინადადება — მუშაობის განსაკუთრებული მოცულობისა და სერიოზულობის გამო საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ში დატოვებულ იქნას სამრეწველო განყოფილება.

კრების უმრავლესობამ მიზანშეწონილად სცნო აღნიშნული წინადადება დაისვას საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე.

ამხ. გ. კაპანაძემ წამოაყენა აგრეთვე წინადადება სახალხო კომისარიატების პარტორგანიზაციებს მიეცეს უფლება ისარგებლონ არა მარტო სიგნალის უფლებით, არამედ დაწესებულების სამმართველოების, აპარატის კონტროლის ფუნქციებითაც, რადგან ეს გაზრდის პასუხისმგებლობას, მოსპობს ბიუროკრატიზმს და სხვ.

ინსტიტუტის შემდგომი მუშაობის გეგმებსა და ამოცანებზე ვრცლად შეჩერდა ამხანაგი ალ. ნიკოლაიშვილი. მანვე წინადადება შემოიტანა საკ. კ. პ. (ბ) წესდებაში გაფართოებულ იქნას ის ადგილი, სადაც აღნიშნულია პარტიის წევრის მოვალეობანი.

აღნიშნული წინადადება კრებამ ერთხმად მიიღო.

ამხ. ალ. ნიკოლაიშვილმა წამოაყენა აგრეთვე წინადადება დაწესდეს თანამგრძნობთათვის 6-თვიანი სტაჟი პარტიის წევრობის კანდიდატებად მათი მიღებისათვის.

დასასრულ კრებამ მიიღო რეზოლუცია, პრაქტიკული ღონისძიებები, და ფარული კენჭისყრით აირჩია დელეგატად გადამწყვეტი ხმის უფლებით საქ. კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის რაიონის კონფერენციაზე ამხ. გ. კაპანაძე.

ტრ. თოდრაძე.

ჭიათურელ მაღაროელთა წინადადებები

(ჭიათურა, საკ. კორესპონდენტისაგან)

ცხადად, საინტერესოდ, მაღალი აქტივობის ნიშნით ჩატარდა ვოროშილოვის სახელობის მაღაროს (ჭიათურა) პირველადი პარტორგანიზაციის კრება. ამ კრებაზე მოხსენებით გამოვიდნენ ამხანაგ მოლოტოვის მოხსენების თეზისების შესახებ— საქ. კ. პ. (ბ) ჭიათურის რაიკომის მდივანი ამხ. გერ. ბიწაძე და ამხანაგ ჟდანოვის მოხსენების თეზისების შესახებ—ამხ. უშ. კუპატაძე.

მოხსენებების შემდეგ აზრთა ცხოველი გაცვლა-გამოცვლა გაიმართა. მოწინავე სტახანოველმა მაღაროელებმა—გალ. კაპანაძემ, ირ. ცუცქირიძემ, შ. ნახუცრიშვილმა, დავ. კაპანაძემ, ინჟ. ირ. კაკაბაძემ, პლატონ ხვედელიძემ და სხვ. შემოიტანეს ახალი, მნიშვნელოვანი წინადადებები. ჭიათურელი სტახანოველების წინადადებები შეეხებოდა მარგანეცის მრეწველობის ტრანსპორტის რეკონსტრუქციას, ჭიათურის საქალაქო მეურნეობის გაუმჯობესებას, მარგანეცის მრეწველობისათვის საკუთარი ენერგეტიკული წყაროს შექმნას და სხვ. ყველა ამ საკითხზე სტახანოველებმა შემოიტანეს პრაქტიკული მნიშვნელობის წინადადებები.

გარდა ამისა, ჭიათურელმა მაღაროელებმა იკისრეს ყრილობის გახსნის აღსანიშნავად საწარმოო დავალებების მაღალხარისხოვნად და გადაჭარბებით შესრულება.

პარტორგანიზაციის კრებაზე, რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე გასაგზავნად ფარული კენჭისყრით აირჩიეს ამხ. რ. დარბაიძე, მ. კუპატაძე და შ. აბრამიშვილი.

ლ. ლოლაძე

აკადემიკოსი ბ. კელერი

ჩარლზ დარვინი

(დაბადებიდან 130 წლისთავისათვის)

მიმდინარე წლის 12 თებერვალს სრულდება 130 წელი ჩარლზ დარვინის დაბადებიდან, ხოლო 24 ნოემბერს—80 წელი მას შემდეგ, რაც გამოვიდა მეცნიერების ამ უდიდესი კორიფეის ძირითადი ნაშრომი — „სახეთა წარმოშობა ბუნებრივი შერჩევის გზით ანუ სიცოცხლისათვის ბრძოლაში შეგუებული ჯიშების გადარჩენა".

ამ წიგნის გამოქვეყნებიდანვე მის მიმართ ორი მოწინააღმდეგე ბანაკი დაირაზმა. დარვინის წინააღმდეგია ყველა ბნელი ძალა: ხუცები, მეფეები, კაპიტალისტები და მათი მსახურები, რომლებიც ცდილობენ ჩაახშონ მეცნიერების თავისუფლება, რომ მუშები და გლეხები არ აზროვნებდნენ და მონურ მორჩილებაში იყვნენ. დარვინს მხარს უჭერდა მთელი საუკეთესო მოწინავე კაცობრიობა მეცნიერული სოციალიზმის გენიალური ფუძემდებლების—მარქსისა და ენგელსის მეთაურობით.

1860 წლის 19 დეკემბერს მარქსი ენგელსისათვის გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა, რომ დარვინის წიგნი „ჩვენი შეხედულებების ბუნებრივ-ისტორიულ საფუძველს იძლევა".

ინგლისელი მეცნიერი ჰექსლი იმავე წელს დარვინის მოძღვრების პოპულარიზაციას ეწეოდა, მუშათა აუდიტორიაში კითხულობდა ლექციებს ადამიანის წარმოშობის შესახებ. ქალაქ ოქსფორდის უნივერსიტეტში გაიმართა დისპუტი, რომელზედაც უმაღლესი სამღვდელოების წარმომადგენელი — ეპისკოპოსი ილაშქრებდა დარვინის თეორიის წინააღმდეგ იმის გამო, რომ ეს თეორია არ შეიძლება შეუთავსდეს ღვთის ყოვლადძლიერებას, ეწინააღმდეგება „სამღვთო წერილს" და „ღვთიურ განგებას". ეპისკოპოსი ცდილობდა იმნაირად მოეჩვენებინა საქმე, რომ ადამიანისათვის სამარცხვინოა მაიმუნისაგან წარმოშობა. ხოლო მეცნიერმა ჰექსლიმ ეპისკოპოსს უპასუხა,—მე ვამჯობინებდი მაიმუნისაგან წარმოშობას, ვიდრე ისეთი ადამიანისაგან, როგორიც ეპისკოპოსია, რომელიც ცდილობს სახელი გაუტეხოს და უარჰყოს მეცნიერების ნათელი ფაქტები.

1864 წელს თითქმის ჭაბუკმა სულ 21 წლისამ, ჩვენმა დიდმა მეცნიერმა ტიმირიაზევმა ააფრიალა ბრძოლის დროშა დარვინის სასარგებლოდ მეფის რუსეთის პოლიციურ-ხუცური საშინელი ჩაგვრის პირობებში.

ხოლო ცოტა მოგვიანებით მეფის მთავრობის მსახური, პირწავარდნილი შავრაზმელი თავადი მეშჩერსკი გაჰკიოდა: „პეტრეს აკადემიის პროფესორი ტიმირიაზევი ხაზინის ხარჯზე სდევნის ღმერთს ბუნებიდან". ტიმირიაზევს სახაზინო ხარჯით არაფერი დაუბეჭდავს, მაგრამ ღმერთის ბუნებიდან მართლაც სდევნიდა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც თავისი ცრუ ბურჟუაზიული თავისუფლებით თავი მოაქვთ მასწავლებლებს აკრძალული აქვთ ლაპარაკი სკოლებში მაიმუნისაგან ადამიანის წარმოშობის შესახებ. ხოლო როცა მასწავლებლები არ ემორჩილებიან ამ ბრძანებას, მათ სამართალში აძლევენ, მათ წინააღმდეგ აღძრავენ ხოლმე სასამართლო პროცესებს, რომელთაც „მაიმუნის" პროცესები დაერქვათ.

მეფის რუსეთში მემამულეებისა და კაპიტალისტების ჩაგვრის პირობებში დარვინის თვით სახელიც კი აკრძალული იყო არა მარტო პირველდაწყებით, არამედ საშუალო სკოლაშიც. ყოველგვარ ზომებს იღებდნენ, რათა ხალხის ფართო მასებს არც კი გაეგონათ რამე დარვინის შესახებ.

როცა ჩვენს ქვეყანაში დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა, დარვინის თეორია ჩვენი მეცნიერების მატერიალისტური საფუძვლების განუყოფელი ნაწილი ხდება, საბჭოთა ბიოლოგიის სისხლსა და ხორცში შედის. ჩვენს ქვეყანაში „ისეთი შემთხვევები, როგორიც ამერიკაში იყო, სადაც ამას წინათ მსჯავრი დასდეს დარვინისტებს... შეუძლებელია, იმიტომ რომ პარტია ატარებს მეცნიერების ყოველნაირად დაცვის პოლიტიკას". (სტალინი).

თავის სიტყვაში უმაღლესი სკოლის მუშაკთა მიღების დროს კრემლში, 1938 წლის 17 მაისს, ამხანაგმა სტალინმა მთელი ქვეყნის გასაგონად დაასახელა დარვინი, როგორც ერთერთი იმ უდიდეს მეცნიერთა შორის, „რომელთაც შესწევდათ უნარი დაემსხვრიათ ძველი და შეექმნათ ახალი, მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებისა, წინააღმდეგ ყოველივესი".

დარვინის თეორია გვეხმარება შევქმნათ სწორი მატერიალისტური მეცნიერული შეხედულება ბუნებაზე; იგი უარჰყოფს ღვთის არსებობას, ანგრევს რელიგიის უკანასკნელ იდეურ ციხე-სიმაგრეს. დარვინის თეორია ფრთას ასხამს ადამიანის აზრს, ხელში აძლევს მას მძლავრ საშუალებას გარდქმნას ცოცხალი ბუნება შემოქმედი შვენიერი.

დარვინმა დაამტკიცა, რომ ყველა ცოცხალი არსება, ადამიანის ჩათვლით, დედამიწაზე წარმოიშვა ბუნებრივი გზით, განვითარების შედეგად, რომელიც მილიონობით წლის განმავლობაში გრძელდებოდა. ორი მთავარი ფაქტორი უდევს საფუძვლად ამ ევოლუციის პროცესს. პირველია—ცოცხალ არსებათა უნარი მოგვცენ მრავალი მემკვიდრეობითი ცვლილება, რომლებიც შეიძლება განვითარდეს მეტად სხვადასხვა მიმართულებით და ორგანიზმისათვის იყოს სასარგებლო, საზიანო ან უმნიშვნელო.

თანამედროვე მეცნიერებამ არა თუ აღმოაჩინა ასეთ ცვლილებათა უდიდესი , რაოდენობა, არამედ თვით შეუძლია მათი გამოწვევა. საბოლოოდ უარყოფილია ის შეხედულება, თითქოს ყველა არსება რჩება მუდმივი იმ სახით, რომლითაც ისინი, რელიგიის რწმუნებით, „ღვთის მიერ იყვნენ შექმნილნი". ეს ცრუ შეხედულება იარაღს აყრევინებდა ადამიანს მის შემოქმედებით მოღვაწეობაში ბუნების გადაკეთების, მცენარეთა და ცხოველთა ჯიშების ახალ სასარგებლო სახეთა შექმნის დარგში.

მეორე ფაქტორია — ბრძოლა არსებობისათვის და ბუნებრივი შერჩევა. დარვინმა აღნიშნა, რომ ბუნებაში მცენარეებსა და ცხოველებს უჩნდებათ გაცილებით მეტი ჩანასახი, ვიდრე შესაძლებელია მათი ცოცხლად დარჩენა. ორგანიზმებს შორის, რომლებიც შემდგომ ვითარდებიან, სწარმოებს ბრძოლა არსებობისათვის, განსაკუთრებით საკვების გამო. ამას გარდა, ისინი განიცდიან სხვადასხვა არახელსაყრელ ზეგავლენას გარემოს მხრივ. მაგალითად, მცენარემ შეიძლება განიცადოს გვალვის, ყინვის, ავადმყოფობისა და სხვა მოქმედება.

არსებობისათვის ასეთი ბრძოლის შედეგად ხდება ბუნებრივი შერჩევა: ცოცხალი რჩებიან მხოლოდ ის მცენარეები და ცხოველები, რომელთაც სათანადო სასარგებლო, შემგუებელი ხასიათის მემკვიდრეობითი ცვლილებანი გააჩნიათ.

დებულება ბუნებრივი შერჩევის შესახებ შეადგენს დარვინიზმის აუცილებელ, განუყოფელ ნაწილს, რომელიც მას ანსხვავებს ევოლუციის ყველა სხვა თეორიებისაგან. ბუნებრივი შერჩევა სრულ და ნათელ მატერიალისტურ ახსნას აძლევს ეგრეთწოდებულ მიზანშეწონილობას ანუ შემგუებლობას ცოცხალ არსებათა აგებულებაში, რასაც რელიგია მიაწერდა „ღვთის სიბრძნეს". ამიტომ რელიგიის ყველა აშკარა და ფარული მომხრე განსაკუთრებული გააფთრებით ესხმის თავს სწორედ ამ ბუნებრივი შერჩევის დებულებას.

დარვინის თეორიას, მიუხედავად მთელი თავისი გენიალობისა, აქვს ნაკლოვანებები, რომლებშიც გამომჟღავნდა ბურჟუაზიული სამყაროს გავლენა. ასე, მაგალითად, დარვინმა დაამტკიცა, რომ ადამიანი წარმოიშვა მაიმუნისაგან, მაგრამ არ ახსნა მთავარი მიზეზი, რომელმაც გამოიწვია ადამიანის შექმნა. ეს შეასრულა ენგელსმა თავის გენიალურ თხზულებაში — „შრომის როლი მაიმუნის გაადამიანებაში". ენგელსმა გვიჩვენა, რომ ადამიანი შეჰქმნა ან, სხვაგვარი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, მაიმუნობიდან ადამიანად აქცია სწორედ საზოგადოებრივმა შრომამ.

კაპიტალისტური მსოფლიო თავიდან ბოლომდე მტრულად არის განწყობილი მეცნიერებისადმი. გასაგებია, რომ ამ მსოფლიოში არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს ნამდვილ დარვინიზმს. დარვინის მოძღვრებას ფაშისტური ურჩხულები ცრუ მეცნიერებით სცვლიან, სთხზავენ რა კაცთმოძულე საზიზღარ რასიულ „თეორიებს". ცდილობენ რა გაამართლონ თავიანთი სისხლიანი საერთაშორისო ყაჩაღობა, მუშებისა და გლეხების მკაცრი კლასობრივი ჩაგვრა და დამონება, ფაშისტები თხზავენ თავის კომმარულ ზღაპარს ერთი რასის უპირატესობაზე მეორე რასის წინაშე, ბარბაროსულად ჰპილწავენ და ასახიჩრებენ ათასობით ადამიანებს ეგრეთწოდებული სტერილიზაციის საშუალებით.

კაპიტალისტურ მსოფლიოში, სადაც მილიონობით ადამიანები ქრონიკულად შიმშილობენ, კარგი მოსავალი კატასტროფად ითვლება, რადგან ეს ხელსაყრელი არ არის ერთ მუჭა მდიდართა ჯიბისათვის. გასაგებია, რომ დარვინიზმის დიადი შემოქმედებითი ძალა მცენარეთა და ცხოველთა ახალ ძვირფას ჯიშთა შესაქმნელად ვერავითარ თანაგრძნობას და მხარდაჭერას ვერ პოულობს მემამულეთა და კაპიტალისტთა მხრივ.

სრულებით საწინააღმდეგოა დამოკიდებულება დარვინის თეორიისადმი საბჭოთა კავშირში, სოციალიზმის ქვეყანაში. ჩვენ ვეუფლებით ამ თეორიას კრიტიკულად, ვანვითარებთ მას და მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საფუძველზე ახალ, გაცილებით უფრო მაღალ საფეხურზე აგვყავს იგი.

საბჭოთა ქვეყანა უაღრესად არის დაინტერესებული იმით, რომ უფრო-და-უფრო აამაღლოს სოციალისტური შრომის ნაყოფიერება და სოფლის მეურნეობის პროდუქცია მთელი მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხის სასარგებლოდ. ჩვენ ხომ სოციალიზმიდან ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე — კომუნიზმზე გადავდივართ, გადავდივართ ისეთ საზოგადოებაში, რომელიც აგებულია პრინციპზე: „თვითეულისაგან მისი უნარის მიხედვით, თვითეულს მისი მოთხოვნილების მიხედვით".

ყოველივე ეს იძლევა ჩვენს ქვეყანაში დარვინიზმის შემოქმედებითი ძალის უდიდეს აღმავლობასა და აყვავებას, აძლევს დარვინიზმს განსაკუთრებით მძლავრ, არაჩვეულებრივად ქმედითს ხასიათს.

აი რასა სწერდა 79 წლის ი. ვ. მიჩურინი, რომელიც გენიალური ძალით განაგრძობდა და ანვითარებდა ჩვენში დარვინიზმის საქმეს:

„ცხოვრება სხვანაირი—არსებობის აზრით სავსე, საინტერესო და სამუშაო გახდა. ამიტომ მცენარეც და ცხოველიც უფრო ნაყოფიერი, უფრო გამძლე უნდა იყოს, უფრო უნდა უპასუხებდეს ახალი ცხოვრების მოთხოვნილებებს. ეს კი შესაძლებელია ყოვლისშემძლე ტექნიკისა და ყოვლისშემძლე სელექციის საფუძველზე".

დარვინიზმი გზაა ასეთი ყოვლისშემძლე ტექნიკისა და ყოვლისშემძლე სელექციისაკენ. და რა განსაცვიფრებელ წარმატებებს მიაღწიეს ამ გზით საბჭოთა დარვინისტებმა თავისი ყველაზე უფრო გამოჩენილი წარმომადგენლების მიჩურინისა და ლისენკოს მეთაურობით!

დარვინმა ახსნა ცოცხალი მსოფლიოს ევოლუცია, ხოლო ლისენკო, ციცინი, დერჟავინი განსაკუთრებული გამბედაობით, შეიძლება ვთქვათ, შეუპოვრობით ჰქმნიან ამ ევოლუციას დარვინის მიერ ნაჩვენები გზით, სოციალისტური საზოგადოების სასარგებლოდ. და სულ უფრო ფართოდ ებმებიან ამ შემოქმედებაში ხალხის მასები—მიჩურინელები, კოლმეურნე-მცდელები, უბრალო ადამიანები — მეცნიერებისა და ტექნიკის ნოვატორები.

დარვინიზმი ჩვენში, სსრ კავშირში, საყოველთაო-სახალხო მეცნიერულ კუთვნილებად ხდება. გასაგებია, თუ რატომ ვცდილობთ ჩვენ შევინარჩუნოთ მთელი სიმახვილე და ძალა დარვინიზმისა, როგორც შემოქმედებითი შრომის და აზრის მძლავრი იარაღისა, და ამისათვის მგზნებარედ ვიცავთ მის სიწმინდეს ცრუ-მეცნიერების მხრივ ყოველგვარი ხელყოფისაგან.

ძნელია იმის თქმა, თუ შემოქმედების რა ახალ განსაცვიფრებელ სასწაულებს გაშლის სულ უფრო და უფრო მეტი სისწრაფით სოციალიზმის ქვეყანაში ეს ახალი ქმედითი, საბჭოთა დარვინიზმი. ეს ხომ —სტალინური კონსტიტუციის ქვეყანაა, სადაც ადგილი აქვს საწარმოო ძალების, სახალხო მეურნეობის, მოწინავე მეცნიერების, ტექნიკისა და ხელოვნების უდიდეს, სულ უფრო და უფრო მზარდ აღმავლობას და გაფურჩქვნას, სადაც ხდება ხალხის უფართოესი მასების შემოქმედებითი ენერგიის და ნიჭის სულ უფროდაუფრო მზარდი აღმავლობა და აყვავება.

ეს ხომ ის ქვეყანაა, სადაც თავისი გრანდიოზულობით უმაგალითო ისტორიული მოძრაობა ეყრდნობა ბოლშევიზმის უდიდეს რევოლუციურ მეცნიერებას, კაცობრიობის ყველაზე გენიალური ადამიანების—მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის მოძღვრებას, მოძრაობა, რომელსაც მეთაურობს და ხელმძღვანელობს მთელი მსოფლიოს მშრომელთა გენიალური ბელადი დიდი სტალინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკური ესპანეთი დარწმუნებულია თავის საბოლოო გამარჯვებაში

რესპუბლიკური ესპანეთის ბრძოლა

პარიზი, 10 თებერვალი (საკდესი). როგორც ჰავასის სააგენტო იუწყება, გუშინ გენერალმა მიახამ მადრიდში თათბირი ჩაატარა რესპუბლიკის დაცვის საკითხზე. თათბირში მონაწილეობა მიიღეს ცენტრის რესპუბლიკური არმიის კომისარმა ერნანდესმა, არმიის შტაბის უფროსმა გენერალმა მატალიანამ, გენერლებმა არანგურენმა და მენენდესმა, აგრეთვე ყველა პარტიისა და პროფკავშირის წარმომადგენლებმა. მიახამ დამსწრეთ გააცნო ის ღონისძიებანი, რომლებიც მიღებულია რესპუბლიკის დაცვის გასაძლიერებლად. პარტიისა და პროფკავშირების წარმომადგენლებმა, რომლებიც თათბირს დაესწრნენ, მათი გამომგზავნი ორგანიზაციების სახელით განუცხადეს მიახას, რომ ისინი სავსებით უჭერენ მხარს მიახას მიერ შემუშავებულ ყოველგვარ ღონისძიებას, და რომ ისინი დარწმუნებული არიან რესპუბლიკის საბოლოო გამარჯვებაში.

ესპანეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ასანია პარიზში ჩავიდა

პარიზი, 9 თებერვალი (საკდესი). გუშინ ჟენევიდან პარიზს ჩამოვიდა ესპანეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ასანია. პრეზიდენტს ვაგზალზე შეხვდნენ: საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი, ესპანეთის ელჩი პარიზში პასკუა, ესპანეთის უპორტფელო მინისტრი ხირალი და სხვა პირნი.

პრეზიდენტმა ასანიამ უარი სთქვა რაიმე განცხადების მიცემაზე პრესის წარმომადგენლებისათვის.

ესპანეთის ნაციონალური თავდაცვის სამინისტროს ცნობა

პარიზი, 10 თებერვალი (საკდესი). ჰავასის სააგენტოს გადმოცემით, მადრიდის რადიოსადგურმა გადასცა ესპანეთის ნაციონალური თავდაცვის სამინისტროს შემდეგი ცნობა: „ასრულებს რა სარდლობის ბრძანებას, რესპუბლიკის ჯარი კატალონიის ფრონტზე ნელა იხევს უკან სრული წესრიგით, იგი არ სწყვეტს ბრძოლას და ინარჩუნებს თავის კადრებსა და შეიარაღებას.

სხვა ფრონტებზე მდგომარეობა უცვლელია“.

გენერალ მიახას დანიშვნა

პარიზი, 10 თებერვალი (საკდესი). ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ ესპანეთის რესპუბლიკურმა მთავრობამ გენერალი მიახა დანიშნა თავის წარმომადგენლად რესპუბლიკურ ზონაში და რესპუბლიკის საჰაერო, საზღვაო და სახმელეთო შეიარაღებულ ძალთა უმაღლეს სარდლად.

ინტერვენტთა ავიაცია ყუმბარებს უშენს ვალენსიას

პარიზი, 10 თებერვალი (საკდესი). ესპანის სააგენტო გადმოგვცემს, რომ გუშინ 13 საათსა და 30 წუთზე ფაშისტთა 10 თვითმფრინავმა ვალენსიაში დაახლოებით 100 ყუმბარა გადმოჰყარა. დანგრეულია რამდენიმე შენობა.

16 საათსა და 30 წუთზე ქალაქს კვლავ დაესხა თავს ფაშისტთა ავიაცია. 7 თვითმფრინავმა დაახლოებით 70 ყუმბარა გადმოჰყარა.

ლონდონი, 10 თებერვალი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ვალენსიიდან იუწყება, რომ გუშინ, როდესაც ესპანელ მეამბოხეთა ავიაცია თავს დაესხა ვალენსიას, ფაშისტთა თვითმფრინავებმა რამდენიმე ყუმბარა ესროლეს ინგლისის ორ გემს „სტენბრუკსა“ და „სტენფორტს“. ორივე გემი ძლიერ დაზიანდა.

შეთქმულება ესპანეთის ხალხის წინააღმდეგ

ლონდონი, 10 თებერვალი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს გადმოცემით, იმ დროს, როდესაც გამოირკვა, რომ ქალაქ მაონის სამხედრო გუბერნატორი პოლკოვნიკი ლუის გონზალესი თავისი შტაბით ინგლისის კრეისერ „დევონშირზე“ მივიდა გენერალ ფრანკოს წარმომადგენელთან — მაიორკის გუბერნატორ პოლკოვნიკ სან ლუისთან მოსალაპარაკებლად, — მაონში შეიარაღებული ბრძოლა დაიწყო.

სააგენტო არ გადმოგვცემს ამ ბრძოლის დაწვრილებით ცნობებს, მაგრამ საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მენორკაზე მოხდა პროგრესიული ორგანიზაციების გამოსვლა, რომლებმაც ეჭვი აიღეს, რომ ფრანკოს საიდუმლო აგენტები გამცემლობას ამზადებენ.

მაიორკიდან დაუყოვნებლივ მოვიდნენ იტალიის ყუმბარმზიდები, რომლებმაც გააფთრებით დაუშინეს ყუმბარები მაონს. ბომბარდირებამ გაანადგურა 30 სახლი; დახოცილია მრავალი მცხოვრები. რამდენიმე ყუმბარა კრეისერ „დევონშირს“ მოხვდა.

ამგვარად, მიუხედავად ინგლისის მთავრობასთან ახლო მდგომი წრეების მტკიცებისა, რომ თითქოს ინგლისი ცდილობს გერმანია-იტალიის მიერ დაპყრობისაგან „იხსნას“ მენორკა, ადგილი აქვს ინგლისის მთავრობის, იტალიელ ინტერვენტთა და ესპანელ მეამბოხეთა სრულ თანამშრომლობას ესპანელი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლაში, იმ ხალხისა, რომელიც თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის იბრძვის.

ნეგრინი და ალვარეს დელ ვაიო რესპუბლიკურ ესპანეთის ცენტრალურ ზონაში

პარიზი, 10 თებერვალი (საკდესი). ჰავასის სააგენტოს ცნობით, რესპუბლიკური ესპანეთის მთავრობის პრემიერ-მინისტრი ნეგრინი და საგარეო საქმეთა მინისტრი ალვარეს დელ ვაიო დღეს თვითმფრინავით მიფრინდნენ ალიკანტეში. ჰავასის სააგენტოს ცნობით, ნეგრინი და ალვარეს დელ ვაიო შემდეგ ვალენსიას გაემგზავრნენ, სადაც მათ გენერალ მიახასთან ექნებათ თათბირი რესპუბლიკის ცენტრალური ზონის არმიის მდგომარეობის შესახებ.

რესპუბლიკელთა ჯარის უკან დახევა კატალონიის ფრონტზე

პარიზი, 10 თებერვალი (საკდესი). ჰავასის სააგენტოს კორესპონდენტი სერბერში იუწყება, რომ დღეს, დილით ადრე, პოლკოვნიკი მოდესტო, სარდალი ებროს რაიონის რესპუბლიკური არმიისა, რომელსაც ორი დღის წინათ პოზიციები ეჭირა ფიგერასის სამხრეთით, თავისი შტაბით საფრანგეთის ტერიტორიაზე გადავიდა.

იმავე კორესპონდენტის სიტყვით, რესპუბლიკელთა ჯარმა ღამით კულერაში ხიდი ააფეთქა. სარკინიგზო და საგზატკეცილო მიმოსვლა საფრანგეთსა და ესპანეთს შორის უკვე შეწყვეტილია.

საფრანგეთის მოლაპარაკება გენერალ ფრანკოსთან

პარიზი, 10 თებერვალი (საკდესი). ჰავასის სააგენტო ბაიონიდან იუწყება, რომ, არსებული ცნობების თანახმად, საფრანგეთის რკინიგზების სახელმწიფო საზოგადოების უმაღლესი მოხელეები გაემგზავრნენ ბურგოსს, სადაც მოლაპარაკებას გამართავენ საფრანგეთსა და ფაშისტურ ესპანეთს შორის სასაქონლო მატარებლების მიმოსვლის აღდგენის შესახებ, რომელიც შეწყვეტილ იქნა ესპანეთში ფაშისტური ამბოხების დაწყების შემდეგ.

ინგლისი და საფრანგეთი გენერალ ფრანკოს ეხმარებიან

პარიზი, 10 თებერვალი (საკდესი). ინგლის-საფრანგეთის „შუამავლობამ“ ახალი ნაყოფი გამოიღო ესპანეთის საკითხში. მენორკა დაიკავა იტალია - გერმანიის ინტერვენტთა აგენტის—გენერალ ფრანკოს ჯარმა.

„ინგლისის მთავრობამ საფრანგეთის მთავრობასთან ერთად, სწერს „ლუმანიტე“, — აშკარა მტრული აქტი ჩაიდინა ესპანეთის მიმართ. ინგლისმა თავისი კრეისერი „დევონშირი“ დაახმარა მეამბოხე გენერალს. გუშინდელი დღიდან დაწყებული, ინგლისი და საფრანგეთი ახორციელებენ ინტერვენციას ფრანკოს სასარგებლოდ, ესპანეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ“.

საფრანგეთის ოფიციალურ სფეროებთან ახლო მდგომ წრეებში ცდილობენ ინგლის-საფრანგეთის შუამავლობით გენერალ ფრანკოსათვის მენორკის გადაცემა იმით ახსნან, რომ მათ სურდათ თავიდან აეცილებინათ იტალია-გერმანიის ძალების დამკვიდრება მენორკის კუნძულზე.

„უბრალო გოგონა“. საფინალო სცენა.

„უბრალო გოგონა“ მარჯანიშვილის სახელობის თეატრში

დადგმა — ზ. მრავლაძისა, მხატვარი — შ. აბჟანდაძე, მუსიკა — ო. ზარამიშვილისა.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა კომედიური სცენიური მასალის ჩვენების ოსტატის სახელი დამსახურებულად მოიხვეჭა. საამისოდ თეატრს ყველა მონაცემები აქვს.

წლევანდელ სეზონში თეატრის მუშაობა ჯერჯერობით კომედიურ მასალათა სცენიური ათვისების გზით წარიმართება. მან თავის მაყურებელს უკვე მეორე ასეთი დადგმა უჩვენა. ეს არის ორდენოსანი დრამატურგის ვ. შკვარკინის კომედია „უბრალო გოგონა“.

ამ კომედიას საფუძვლად უდევს ანეგდოტური ამბავი, როცა ერთი განმაჯანსაღებელი მოვლენის გამო, ადამიანები ივიწყებენ თავისი ყოფის მავნე ჩვევებს და უარყოფით ინსტიქტებს, რომლებიც მათ წარსული ყოფიდან აქვთ შემორჩენილი. ეს ჩვევანი და ინსტიქტები ავტორს თავმოყრილი აქვს ერთ სახლში, სადაც სხვადასხვა ტიპის მეშჩანები ცხოვრობენ. ჭორიკანობა, კინკლაობა, გაიძვერობა, მლიქვნელობა და ერთმანეთის შევიწროვება ჩვეულებრივი მოვლენაა ამ სახლის მდგმურთა შორის. ამ ატმოსფეროში იჭრება უბრალო გოგონა ოლია, რომელიც შემთხვევით ეწყობა შინამოსამსახურედ სახლის მმართველ მაკაროვის ოჯახში. კუპლეტისტი გერასიმოვი არწმუნებს მდგმურებს, რომ ოლია მწერალია და გარკვეული დავალებით არის მოსული ამ სახლში, რათა აღწეროს დახავსებული ყოფაცხოვრება. მდგმურები შეშფოთდნენ. ცდილობენ აღკვეთონ ყველა მავნე ჩვევები და გახდნენ დადებითი ადამიანები. ასე გრძელდება ერთი თვე. შემდეგ ირკვევა, რომ გერასიმოვმა შეცდომაში შეიყვანა მეზობლები, რომ ოლია მწერალი კი არა, უბრალო გოგონაა. აქ თითქოს ბუნებრივია ადამიანების დაბრუნება ძველ ჩვევებთან, მაგრამ ეს მათ აღარ სურთ — ისინი საბოლოოდ გამოსწორდნენ ახალი განმაჯანსაღებელი მომენტის გავლენით.

შინაარსის უბრალოება სრულებითაც არ უშლის ხელს დრამატურგს ჭარბად წარმოადგინოს მკვეთრი კომედიური სიტუაციები, რაშიაც სიყვარულს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. მიუხედავად ამისა, პიესას მთელი რიგი ჩრდილოვანი ადგილები აქვს, რომლებიც შეძლებისდაგვარად აუცილებიათ თეატრისათვის სპექტაკლის ავტორებს და განსაკუთრებით მის დამდგმელს გ. მრავლაძეს. რეჟისორი, მხატვარი და კომპოზიტორი ღრმად ჩასწვდომიან პიესის იდეას, დაუძლევიათ მისი სუსტი ადგილები, რომლებიც ხელს უშლიან კომედიის სიუჟეტის ბუნებრივ გაშლილობას და ამის შედეგად შეუქმნიათ ცოცხალი სპექტაკლი.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ეს დადგმა თეატრის ახალგაზრდა რეჟისორული და არტისტული კადრების გამოცდა იყო, რომელიც კარგად ჩააბარეს ერთმაც და მეორემაც. მთელი რიგი მიზანსცენები და სცენები ამჟღავნებენ, რომ ამ ახალგაზრდათა სახით ჩვენ საქმე გვაქვს ნიჭიერ, სერიოზულ შემოქმედებთან. ამას ცხადჰყოფს ტკაცრი რეალისტური ფერები, რომლებიც დაცულია პიესის სცენიურ გაფორმებაში, გრიმებისა და კოსტუმების გამოყენებით შერჩევა. ამიტომ ბუნებრივია, რომ სპექტაკლი მაყურებელმა მხურვალედ მიიღო, მიუხედავად იმისა, რომ მას ნაკლოვანებებიც ახასიათებს. ერთერთ ასეთ ნაკლად უნდა ჩაითვალოს მოქმედების დუნე მსვლელობა, განსაკუთრებით პიესის მეორე აქტის ეპიზოდებში, სადაც შესრულება მეტ ტემპერამენტს საჭიროებს.

მიუხედავად ამისა, დადგმამ გამარჯვება მოიპოვა. იგი ისეა გააზრებული ავტორების მიერ, რომ მაქსიმალურად უწყობს ხელს მსახიობთა თამაშს. ამ მხრივ ეს სპექტაკლი ანსამბლის სპექტაკლია, რომელშიაც თითქმის თანაბარი სიძლიერით მიჰყავთ როლები სამივე თაობის არტისტებს.

მოხუცი დედაკაცის მარიას როლს ასრულებს რესპ. სახალხო არტისტი **ელ. ჩერქეზიშვილი.** თავისი თამაშით ის ამტკიცებს, რომ თეატრში ერთნაირად საპასუხისმგებლოა პირველი და მეორეხარისხოვანი როლები. ამ მხრივ ის მისაბაძი ხდება არა მარტო თავისი დუბლიორისათვის, არამედ ახალგაზრდა კადრებისათვისაც. პირველი მოქმედების პირველ სურათში, რომელიც პიესის თითქმის ყველა ეპიზოდზე გრძელია, და შემდეგაც, მიუხედავად იმისა, რომ მსახიობს მცირე სიტყვიერი მასალა აქვს, ე. ჩერქეზიშვილს თამაშის სიმძიმის ცენტრი მიმიკასა და ჟესტიკულაციაზე გადააქვს, რითაც მაყურებელთა აღტაცებას იწვევს.

ასევე მაღალი ოსტატობით და მხატვრული ზომიერებით ანსახიერებს მოხუცი ინჟინერის გრიფელევის როლს რესპ. სახ. არტისტი — ორდენოსანი **ნ. გოცირიძე.** გრიფელევი ტექნიკოს კაშკინთან ერთად მუშაობს გამოგონებაზე, მაგრამ ისინი ურთიერთ კინკლაობის მსხვერპლნი ხდებიან. პიესის ფინალში, როდესაც ისინი იწმინდებიან მავნე ჩვევებისაგან, მათში სპეტაკი ადამიანები მოსჩანან. ნიკო გოცირიძემ ოსტატურად განასახიერა ადამიანის ფსიქიკის ეს გარდაქმნა, ისევე როგორც რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა **შ. ჯაფარიძემ** კაშკინისა.

რესპ. დამს. არტისტი **მ. სარაული** მაკაროვის როლში ადვილად აღწევს თამაშის მაღალ მხატვრულ დონეს. მისი დუბლიორიც მსახიობი **ა. სიხარულიძეც** წარმატებით დაუფლებია ამ როლს.

კარგია **ე. სიბილა** ოლიას როლში. მსახიობი ჰქმნის უბრალო გოგონას მშვენიერ ტიპს.

თ. ჩარკვიანი თავისი თამაშის ბუნებრიობით იძლევა პრასკოვია ივანოვნას ნათელ სახეს.

კარგია რესპ. დამს. არტისტი **ტასო აბაშიძე** სამოზვანცევას როლში. თავისი მდიდარი სცენიური გამოცდილება მან სრული სისავსით გამოიყენა ჯერ ჭორიკანა, შემდეგ კი კარგი თვისებებით დაჯილდოვებული ადამიანის ბუნების გახსნაში. მსახიობის თამაშში ბუნებრივი ძლიერებით სჩქეფს საღი კომიზმი.

შ. გოცირელი წარმატებით დაუფლებია სტუდენტ მაკაროვის როლს, მაგრამ მსახიობს უნდა ვუსაყვედუროთ მხატვრული ზომიერების ხშირი უგულებელყოფა, რაც ზოგ შემთხვევაში მის მიერ განსახიერებულ ტიპს აზარალებს.

ლ. შატბერაშვილს ცოცხლად მიჰყავს ვალენტინ გრიფელევის როლი, ისევე, როგორც **გ. შავლიაშვილს.**

იროჩკას დამაჯერებელ მხატვრულ სახეებს იძლევიან **მ. ქორელი და მ. კოკაია,** პოლიასას — **ა. დონჯაშვილი.**

კარგად მიჰყავს შოფერ ზასტრელიხინის როლი ახალგაზრდა მსახიობს **შ. პირველს,** სადა თამაშით ის აღწევს საკმაოდ მაღალ სცენიურ ეფექტს.

კუპლეტისტ გერასიმოვის შესანიშნავ სახეს ჰქმნის მსახიობი **მ. ლორთქიფანიძე.**

დანარჩენი მსახიობები სპექტაკლის წარმატებას ხელს უწყობენ.

ახალგაზრდა კომპოზიტორ ო. ზარამიშვილს კომედიისათვის მოუძებნია მშვენიერი მუსიკალური ქარგა, რომელიც უკეთესი შესრულების შემდეგ უთუოდ ორგანული თანხმოვანებით უპასუხებს დადგმას. ვამბობთ უპასუხებს, რადგან პირველ ორ სპექტაკლში ჯერ კიდევ იგრძნობოდა, რომ ორკესტრი შეწყობილად ვერ ასრულებდა ოსტატურად დაწერილ მუსიკას.

„უბრალო გოგონა“ თეატრის კოლექტივის დიდ მხატვრულ შესაძლებლობას ამჟღავნებს. თეატრმა უნდა გამონახოს ისეთი პიესა, სადაც ის უფრო სრულყოფილად გამოავლენს ამ შესაძლებლობებს.

ბ. აბულაძე

ა. ს. გრიბოედოვის ხსოვნის აღსანიშნავი კონცერტი

გუშინ ა. ს. გრიბოედოვის სახელობის რუსულ თეატრში შესდგა კონცერტი, მიძღვნილი ა. ს. გრიბოედოვის გარდაცვალების 110 წლისთავისადმი. კონცერტის დაწყების წინ ა. პეტრაკოვსკიმ დამსწრეთ მოკლედ გააცნო გენიალური რუსი პოეტის ცხოვრება და შემოქმედება.

საკონცერტო პროგრამა შეიცავდა ა. ს. გრიბოედოვის და მისი თანამედროვე პოეტების და მუსიკოსების ნაწარმოებებს.

თეატრის მსახიობმა ნ. შელეხოვამ დიდი განცდით წაიკითხა ვ. კიუხელბეკერის ლექსი „გრიბოედოვის სიკვდილზე“ და ა. ჭავჭავაძის „კავკასია“. ლ. ვანჩიაანმა შეასრულა როიალზე პოეტის ორი ვალსი — „ე-მოლი“ და „ას-დური“. თეატრის მსახიობებმა ლ. ვრუბლევსკაიამ და ი. ბოდროვმა წარმოადგინეს ნაწყვეტი გრიბოედოვის დაუმთავრებელი ტრაგედიიდან „ქართული ღამე“.

მომღერალმა ბ. კრავეიშვილმა იმღერა გლინკას რომანსი „ნუ იმღერ ჩემთან, ლამაზო ქალო“, დაწერილი ა. ს. გრიბოედოვის მოტივით ა. ს. პუშკინის სიტყვებზე.

თბილისის საოპერო თეატრის ორდენოსანმა მსახიობებმა მ. ნაკაშიძემ და შ. ყვარელაშვილმა და ვიოლინისტმა ლ. ამიროვმა დიდი წარმატებით შეასრულეს გრიბოედოვის თანამედროვე კომპოზიტორების ალიაბიევის, გურილიევის, ფილდისა და გლინკას ნაწარმოებები.

ა. ს. გრიბოედოვის სახელობის თეატრის მსახიობებმა: ლ. ვრუბლევსკაიამ, ი. ბოდროვმა, ქ. გარინმა, პ. დონეცკიმ, ვ. ბრაგინმა, დ. ივანოვმა, ე. სატინამ და ვ. ზახაროვმა შეასრულეს ნაწყვეტები კომედიიდან „ვაი ჭკუისაგან“.

ქართველ მხატვართა გამოფენა

დღეს საქართველოს მხატვართა გალერიაში გაიხსნება ქართველ მხატვართა გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იქნება მ. თოიძის, ლ. გუდიაშვილის, ე. ახვლედიანის, ა. ციმაკურიძის, შ. მამალაძის, ქ. თენეიშვილის, კ. ხუციშვილის, ქ. კიკნაძის, ა. გიგოლაშვილის, ბჟოლულისა და სხვა მხატვართა მიერ შესრულებული 80-მდე პორტრეტი და პეიზაჟი.

გამოფენაზე პირველად იქნება ნაჩვენები შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები, შესრულებული მხატვარ ს. ქობულაძის მიერ.

გამოფენა მიძღვნილია საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობისადმი.

ალპინიზმი

საქართველოს ალპინისტთა კლუბში ეწყობა გამოფენა თემაზე: „ალპინიზმის მიღწევები საქართველოში 15 წლის მანძილზე“. თებერვალში ჩატარდება საქართველოს ალპინისტთა პირველი რესპუბლიკური თათბირი, რომელზეც განხილული იქნება კლუბის მიერ ჩატარებული და მისი მომავალი მუშაობის საკითხები. დასასრულ არჩეული იქნება ალპინისტთა კლუბის ახალი გამგეობა.

ადგილობრივ მცხოვრებთა შორის ალპინიზმის განვითარების მიზნით ზაფხულში კლუბი, ალპინისტთა და ადგილობრივ მცხოვრებთა მონაწილეობით, აწყობს მასობრივ ექსპედიციებს სამხრეთ-ოსეთსა და აფხაზეთში. თვითეულ ექსპედიციაში მონაწილეობას მიიღებს 100 კაცი.

ლექციები და მოხსენებები

● 18 თებერვალს ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლი თბილისის სტალინის სახელობის პარტრაიკომის პარტკაბინეტში აწყობს ამხ. ხახაროვის ლექციას თემაზე: „სოციალიზმი და კომუნიზმი“. ქართულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

● 18 თებერვალს ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლი თბილისის ლენინის სახელობის პარტრაიკომის პარტკაბინეტში აწყობს ამხ. მამაიანის ლექციას თემაზე: „კომუნისტური მორალის შესახებ“. რუსულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

● 12 თებერვალს, დღის 12 საათზე, თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში (აუდიტორია № 93) დოც. პ. ნ. თავხელიძე წაიკითხავს ლექციას თემაზე: „პიროვნების როლის საკითხისათვის ისტორიაში“.

სპორტული ქრონიკა

● 18 თებერვალს ლენინგრადში დაიწყება მეთხილამურეთა საკავშირო შეჯიბრება თხილამურებით ზოგიდან ხტომაში. ამ შეჯიბრებაში საქართველოდან მონაწილეობას მიიღებენ ხარაზიშვილი („ტრუდი“), ლ. მესხიშვილი („მშენებელი“) და ბაკურიანის არასრული საშუალო სკოლის 15 წლის მოწაფე გავა.

ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში

ყოველდღიურად ტარდება კონსულტაცია მარქსიზმ-ლენინიზმის, საერთაშორისო და სხვა პოლიტიკურ საკითხებზე პროპაგანდისტებისათვის, მომხსენებლებისათვის, აგიტატორებისა და იმ ამხანაგებისათვის, რომლებიც შეუდგნენ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ დამოუკიდებლად შესწავლას.

კონსულტაცია ტარდება დღის 10-დან 4 საათამდე და საღამოს 8-დან 11 საათამდე. ქართულ და რუსულ ენებზე.

კონსულტანტთა ტელეფონები: 3—18—46 და 3—61—68.

18 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, საკ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლში შესდგება პროპაგანდისტთა სემინარის ყველა რგოლთა მორიგი მეცადინეობა.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი
სახელმწიფო თეატრი
1938-39 წ. სეზონი

12/II წარმოდგენა 116	14/II წარმოდგენა 117	15/II წარმოდგენა 118
სულელი	არსენა	არსენა

სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის
ლენინის ორდენოსანი სახ. თეატრი 1938-39 წ. სეზონი

12/II	14/II	15/II
მუდმ. ადგ. ტალ. № 96	მუდმ. ადგ. ტალ. № 97 აბ. სერ. № 3	მუდმ. ადგ. ტალ. № 98 აბ. სერ. № 4
რიგოლეტო	დაისი	პიკის ქალი

სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო
თეატრი

12/II	უბრალო გოგონა
14/II	კოლმეურნის ქორწინება
15/II	უბრალო გოგონა

სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 ს-მდე.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

სახცირკი ტელ. 3-11-44 დღეს
დღისით ორი წარმოდგენა:
1-ლის დასაწყისი 12 ს.
მეორისა—2 ს. 30 წ.
საღამოს დასაწყ. 8 ს. 30 წ.
სალარო დილის 10 საათიდან.
განსაკუთრებული პროგრამა და ორი ატრაქციონის გამოსვლა:
ალი-ვეი (მსახ. ვადიმოვი)
და ვერა მიროვა ასისტენტებით.
დიდი ჯგუფი აკრობატებისა
აქლემებზე—ქადირ-გულამ.

მიღების პირობები
თბილისის ჭრა-კერვის სკოლაში

სკოლაში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 16 წლიდან 23 წლამდე, განათლებით არა ნაკლები 5 კლას დამთავრებულნი. სწავლა 2-წლიანია. სწავლის პერიოდში მსმენელები ღებულობენ ხელფასს 45 მანეთიდან 75 მანეთამდე თვიურად.

საჭიროა შემდეგი საბუთების წარდგენა: განათლების მოწმობა, მეტრიკული ამონაწერი, ჯანმრთელობის მოწმობა, ავტობიოგრაფია, განცხადება ორი ფოტოსურათით და პასპორტი.

მიღება სწარმოებს 1 თებერვლიდან 25 თებერვლამდე.
მისამართი: კალინინის ქ. № 60.
59 დირექცია.

იმანუელ კანტი

(გარდაცვალებიდან 135 წლის შესრულების გამო)

„იმანუელ კანტის ცხოვრების ისტორიის გამოსახვა ძნელია... ის ცხოვრობდა უცოლო კაცის მექანიკურად განზომილი, თითქმის აბსტრაქტული ცხოვრებით წყნარ, მიყრუებულ პატარა ქუჩაზე კენიგსბერგში, გერმანიის ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვარზე მდებარე ძველ ქალაქში. არა მგონია დიდი საათი იქაურ ტაძარზე ისე აუღელვებლად და თანაბარზომიერად ასრულებდა თავის ყოველდღიურ გარეგან საქმეს, როგორც მისი თანამემამულე იმანუელ კანტი. ადგომა, დილის ყავა, წერა, ლექციების კითხვა, სადილი, სეირნობა — ყველაფერი ეს ხდებოდა განსაზღვრულ საათებში“... და შემდეგ, როგორც ჰენრიხ ჰეინე ამბობს, შესაძლოა კანტზე ასწორებდნენ ადგილობრივი მცხოვრებნი თავიანთ საათებს.

ი. კანტი დაიბადა 1724 წელს ქ. კენიგსბერგში (გერმანია). კანტის მამა იყო ხელოსანი — მეუნაგირე. თვით კანტს არსად არ უმოგზაურია, ის არ გასცილებია ქ. კენიგსბერგს. კენიგსბერგის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ კანტი 9 წლის განმავლობაში სხვადასხვა პირებთან კერძო მასწავლებლად მუშაობდა. მხოლოდ 1770 წელს მისცეს კანტს კათედრა. იგი მეცნიერების თითქმის ყველა დარგში კითხულობდა ლექციას. ლექციებს კითხულობდა მეტაფიზიკაში, ლოგიკასა, ფიზიკურ გეოგრაფიასა, ანთროპოლოგიაში და სხვ. კანტი მეტად შრომისმოყვარე ადამიანი იყო. მიუხედავად ღრმა მოხუცებულობისა, მას სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ხელიდან არ გაუშვია კალამი. კანტი გარდაიცვალა 1804 წლის 12 თებერვალს.

○

როგორც ფ. ენგელსი ამბობს წერილში ქ. შმიდტისადმი, „გერმანულ ფილოსოფიაში კანტიდან ჰეგელამდე გამოიყურება გერმანელი ბურჟუაზიული ობივატელი ხან დადებითად, ხან უარყოფითად“ (იხ. მარქსი და ენგელსი, „წერილები“, გვ. 384). ცნობილია აგრეთვე რომ მარქსი კანტის ფილოსოფიას ახასიათებდა, როგორც საფრანგეთის რევოლუციის გერმანულ თეორიას. (მარქსი და ენგელსი — თხზ. ტ. I, გვ. 212). კანტის ფილოსოფიის თავისებურება, მისი ახსნა უნდა ვეძიოთ გერმანიის ეკონომიური ცხოვრების თავისებურებაში. რაში მდგომარეობდა გერმანიის ეკონომიური ცხოვრების ეს თავისებურება? იმ დროს, როდესაც საფრანგეთის ბურჟუაზიამ ბატონობას მიაღწია და ევროპის კონტინენტი დაიპყრო, გერმანია წარმოადგენდა ფეოდალურ სამთავროებად დაქუცმაცებულ ქვეყანას, ბურჟუაზიაც გერმანიაში მეტად სუსტი, უძლური იყო. ბურჟუაზიისათვის რევოლუცია სასურველი იყო, მაგრამ პრაქტიკულად ამის მიღწევა მას არ შეეძლო; ამიტომ ბურჟუაზია ეძებდა შერიგებას, საშუალო ხაზს ფეოდალურ სამყაროსთან. „გერმანიის მდგომარეობა, — სწერს მარქსი, — გასული საუკუნის დამლევს მთლიანად ასახულია კანტის „პრაქტიკული გონების კრიტიკაში“... „დამახასიათებელ ფორმას, რომელიც მიიღო გერმანიაში ნამდვილ კლასობრივ ინტერესებზე დამყარებულმა ფრანგულმა ლიბერალიზმმა, ჩვენ ვპოულობთ კანტთან“ (იხ. მარქსი და ენგელსი, თხზ. ტომი IV, გვ. 174-175).



გერმანიის ბურჟუაზიის მდგომარეობამ სინამდვილეში, მისმა დამოკიდებულებამ ამ სინამდვილისადმი — განსაზღვრა კანტის ფილოსოფიური სისტემის ხასიათი. კანტი დუალისტია. „კანტის ფილოსოფიის ძირითადი თვისებაა მატერიალიზმის შერიგება იდეალიზმთან, კომპრომისი მათ შორის, სხვადასხვაგვარი, მოწინააღმდეგე ფილოსოფიური მიმართულებების შეთავსება“. (იხ. ვ. ლენინი — „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ — გვ. 201).

კანტის ფილოსოფიის ეს ორმაგობა, მისი დუალიზმი განსაზღვრავს ამ ფილოსოფიის როგორც მემარცხენე, ისე მემარჯვენე კრიტიკასაც. კანტის რეაქციული, მემარჯვენე კრიტიკოსები მას აკრიტიკებდნენ მისი მატერიალიზმისათვის, იმისათვის, რომ მან დაუშვა არსებობა საგნისა თავის თავად. ამგვარად კანტის ფილოსოფია გამოაცხადეს თანმიმდევრულ სუბიექტურ იდეალიზმად, აცლიდნენ რა მას ყოველგვარ მატერიალისტურ შინაარსს.

ლენინი თავის ისტორიულ წიგნში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ — დაუნდობლად ებრძვის კანტის ფილოსოფიის მემარჯვენე, რეაქციულ კრიტიკოსებს. „...ჩვენ, გერმანელი სოციალისტები, — ამბობდა ენგელსი, — ვამაყობთ იმით, რომ ჩვენს წარმოშობას ვუკავშირებთ არა მარტო სენ-სიმონს, ფურიესა და ოუენს, არამედ აგრეთვე კანტსა, ფიხტესა და ჰეგელსაც“. (ფ. ენგელსი — „სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ“, გვ. 6).

კანტის ფილოსოფიური აზროვნების განვითარებაში პირობით არჩევენ ორ პერიოდს — წინაკრიტიკულ პერიოდსა და კრიტიკულ პერიოდს. წინაკრიტიკულ პერიოდს ეკუთვნის კანტის ერთერთი მეტად მნიშვნელოვანი ნაწარმოები, რომელიც გამოვიდა 1755 წელს სახელწოდებით — „ბუნების საყოველთაო ისტორია და ცის თეორია“. როგორც ენგელსი ამბობს, ამ წიგნით კანტმა პირველად შეანგრია მეტაფიზიკის გაქვავებული მსოფლმხედველობა. როგორც ძველი ბერძენი ფილოსოფოსები, ამბობს კანტი ამ წიგნში, ისე მეც ნივთიერებათა პირველადს მდგომარეობად ვღიარებ ატომებსო. დაუშვა რა ეს მატერიალისტური დებულება, კანტი მთელი კოსმოსის წარმოშობას ხსნის მატერიალისტურად. პირველადს მდგომარეობაში, რომელიც წინ უსწრებს სამყაროს წარმოშობას, ეს ატომები (ან მატერია) სივრცეში ნისლისებურადაა გაბნეული. ამ პირველყოფილ ქაოსში ერთადერთი მომქმედი ძალაა მიზიდულობა და განზიდულობა. ამ ძალების მოქმედებით წარმოიშობა ყველა საგნები, მთელი სამყარო და ციური სხეულები. ცნობილია საერთოდ კანტის გაბედული განცხადება: „მომეცით მატერია და მისგან მე ავაშენებ სამყაროსო“.

კანტი ამბობდა, რომ კრიტიკული ფილოსოფიის შექმნით მან მეცნიერებაში მოახდინა კოპერნიკული გადატრიალება. კერძოდ ასეთი გადატრიალება უნდა მოეხდინა მისი აზრით „წმინდა გონების კრიტიკას“, რომელიც გამოვიდა 1781 წელს. რაში მდგომარეობდა კოპერნიკული გადატრიალების ეს შინაარსი? კანტის აზრით, მეტაფიზიკა ერთ წერტილზე გაიყინა. აქ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ახალი არა თქმულა რა, პირიქით, მეტაფიზიკაში, — ამბობს კანტი, — არავითარი მტკიცე ცოდნა არ არსებობს, ზომა და წონა ძალაში არ არის და ლაყბობისა და საფუძვლიანი ცოდნის განსხვავება შეუძლებელია“. იმისათვის, რომ მოხდეს მეტაფიზიკის რეფორმა, დასაბუთდეს მისი, როგორც მეცნიერების შესაძლებლობა, საჭიროა უპირველეს ყოვლისა კანტის აზრით გაირკვეს საკითხი შეცნობის უნარის შესახებ; დადგინდეს მისი მოცულობა და საზღვრები; ვიდრე დავიწყებდეთ ჭეშმარიტების აღმოჩენას, მანამდე უნდა შევამოწმოთ ის იარაღი, რომლის საშუალებითაც ჩვენ ვღებულობთ ჭეშმარიტებას.

კანტის ამ მოთხოვნას სასტიკად დასცინა ჰეგელმა. ეს, — ამბობდა ჰეგელი კანტის ამ მოთხოვნის შესახებ, წააგავს იმ ადამიანს, რომელსაც წყალში შესვლა არ სურდა მანამდე, სანამ ცურვას არ ისწავლიდა. ვინაიდან შეცნობის პროცესის შესწავლა თვით შეცნობაა, ამიტომ კანტის მოთხოვნა შეცნობის უნარის გარკვევა შეცნობამდე — არამეცნიერულია, ანტიდიალექტიკურია.

კანტი აღიარებდა, რომ ცოდნა წარმოიშობა ჩვენზე საგნების ზემოქმედებით. მაგრამ შეცნობისათვის მარტო ეს არ კმარა, საჭიროა ცნებები, კატეგორიები, რომლებიც წესრიგში მოიყვანს ჩვენს შეგრძნებებს და მათ მიანიჭებს საყოველთაობასა და აუცილებლობას. ასეთი ცნებები, კატეგორიები, თვით რეალური სინამდვილიდან კი არ გამოიყვანება, არამედ მოვლენებში ადამიანს შეაქვს. ისინი, ეს კატეგორიები აპრიორულად (ცდამდე, მის გარეშე) არსებობენ ადამიანის თავში. მაშასადამე, მოვლენა, რომელსაც შეიცნობს ადამიანი, იქმნება ერთის მხრით ჩვენგან დამოუკიდებლად არსებული საგნების ზემოქმედებით, ხოლო მეორე მხრით ცნებებით. თუ როგორია საგანი თავისთავად, ამის შესახებ თეორიულ გონებას არაფრის თქმა არ შეუძლია, ვინაიდან ცდაში ჩვენ არ გვეძლევა საგანი თავისთავად, ცდაში ადამიანს საქმე აქვს მხოლოდ მოვლენებთან.

აქ კანტმა საგანი მოსწყვიტა მის მოვლენას, ფორმა შინაარსს. ენგელსი კანტის ამ აგნოსტიციზმს უპირისპირებს შეცნობის მატერიალისტურ თეორიას. გუშინ ჩვენ არ ვიცოდით, რომ ქვანახშირის კუპრში ალიზარინი არსებობდა. მეცნიერებამ დღეს ეს გაიგო. იბადება კითხვა, როცა ჩვენ არ ვიცოდით ამის შესახებ, არსებობდა თუ არა მანამდე ალიზარინი შავი ქვის კუპრში? რასაკვირველია არსებობდა..

წინააღმდეგ იდეალიზმისა, „... მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმი გამოდის იქიდან, რომ სამყარო და მისი კანონზომიერებანი სავსებით შეცნობადია, რომ ჩვენი ცოდნა ბუნების კანონების შესახებ, ცდით, პრაქტიკით შემოწმებული, წარმოადგენს სარწმუნო ცოდნას, რომელსაც ობიექტურ ჭეშმარიტებათა მნიშვნელობა აქვს, რომ სამყაროში არ არსებობენ შეუცნობადი ნივთები, არამედ არსებობენ მხოლოდ ისეთი ნივთები, რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან შეცნობილნი, რომლებიც გახსნილი და შეცნობილი იქნებიან მეცნიერებისა და პრაქტიკის ძალებით“. („საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, გვ. 136).

კანტი, აღიარებს რა არსებობას საგნისა თავისთავად, ხოლო უარჰყოფს რა მისი შეცნობის შესაძლებლობას, — წინააღმდეგობაში ვარდება. ვინაიდან თვით აღიარება იმისა, რომ საგნები არსებობენ ჩვენგან დამოუკიდებლად, ობიექტურად, მისი ერთერთი თვისების შეცნობაცაა. ასეთი წინააღმდეგობებით სავსეა კანტის მთელი ფილოსოფია. ის ცდილობს შეარიგოს ეს წინააღმდეგობანი, მაგრამ ეს ცდა ყველგან უძლური აღმოჩნდა.

კანტმა გონება შეზღუდა იმისათვის, რომ გზა გაეხსნა რელიგიისათვის, ღმერთისათვის როგორც ამას თვითონ ამბობს. კანტმა, რასაკვირველია, ვერ დასძლია მეტაფიზიკა, ის ასეთ ამოცანას არც ისახავდა. მაგრამ კანტის ფილოსოფიამ დიდათ შეუწყო ხელი იდეალისტური დიალექტიკის განვითარებას.

ჩვენში, სადაც მარქს - ენგელს - ლენინ-სტალინის დიადმა მოძღვრებამ გაიმარჯვა, ღირსეულად აფასებენ და სწავლობენ კანტს, იგი ითარგმნება საბჭოთა კავშირის მრავალეროვან ხალხთა ენებზე.

კანტის სამშობლოში, ფაშისტურ გერმანიაში, კოცონზე სწვავენ ყოველივე პროგრესიულს, რაც კი ოდესმე შეუქმნია ბურჟუაზიას. ფაშისტურ გერმანიაში ჰებელსი საქვეყნოდ აცხადებს: „როდესაც ვხედავ ინტელიგენტს, მე მსურს რევოლვერი ვიძრო“.

კანტის ფილოსოფიური მემკვიდრეობის ნამდვილი დამფასებელია გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა, რომელიც დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით მიდის წინ, კომუნიზმისაკენ.

კ. აქბარდია

მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა — 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილების — 3—73—24, პ.-მგ. მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04 ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, თბილისი: კამოს ქ. № 68 მთავლიტის რწმუნებული ლ—1491